ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 202 (12 578) 29 აგვისტო პარასკევი 2008 ფასი 50 თეთრი

# საქართველო VS ირლანდია

## მაინც გერმანია: მაინცი



»»» 2



# ჩვენ ბევრი გავაოცეთ

ინტერვიუ თემურ ქეცბაიასთან »»» 3

# ვიტ ჯორჯიას ფეხი ავსტრიაზე დაუცდა

UEFA CUP

0:2

»»» 2



ავსტრია-ვიტ ჯორჯია

# სიტყვის კაცი



ინტერვიუ ოლიმპიურ ჩემპიონ რევაზ მინდორაშვილთან

»»» 14




# გუშინ უეფამ ჩემპიონთა ლიგის გუნდები დააჯგუფა და განრიგის შეუდგინა

»»» 8-9

LEGA CALCIO

# ხვალ სერია A იწყება

კალენდარი და გუნდების განაცხადი

»»» 10-11

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები. საქართველო-ირლანდია

# ირლანდიას მაინცში ვეთამაშებით

26 აგვისტოს ფიფამ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრა საქართველოსა და ირლანდიას შორის ნეიტრალურ სტადიონზე ჩატარდება. ქართულმა მხარემ „კარლსრუეს" მშობლიური არენა „ვილდპარკშტადიონი" შეარჩია და თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო... შეხვედრის ადგილი გუშინ შეიცვალა.

*„სამწუხაროდ, 9 დღე ასეთი რანგის მატჩისთვის სათანადოდ ჩვენი სტადიონის მოსამზადებლად საკმარისი არ არის. მხარეებს ვერ გავანაწყენებთ, ვაცხადებთ, რომ „ვილდპარკშტადიონი" 6 სექტემბრის მატჩისთვის მზად ვერ იქნება"*, - განაცხადა „კარლსრუეს" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **როლფ დომენმა**.

ამ განცხადების შემდეგ ქართულ მხარეს მხოლოდ რამდენიმე საათი რჩებოდა სტადიონის მოსაძებნად: *„კარლსრუეს" არენის გარდა სხვა ვარიანტებიც გვქონდა შეგულებული. კერძოდ, გრაცის, კრაკოვის, ხოჟუვის, კატოვიცეს სტადიონები. ასე რომ, რომელიმე სტადიონის ნახვა არ გაგვიჭირდება"*, - გუშინ, ნაშუადღევს განუცხადა "ინდეპენდენტს" ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**.

საღამოს კი საბოლოო გადაწყვეტილება გახდა ცნობილი: ირლანდიას მაინც გერმანიაში, მაინცში, „ბრუხვეგშტადიონზე" ვუმასპინძლებთ. არენა მეორებუნდესლიგელ „მაინცს" ეკუთვნის და 19 500 მაყურებელს იტევს. შეხვედრა 6 სექტემბერს, თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება.

**დავით ცაბაძე**

მეტოქეები

# ტრაპატონიმ ინგლისური გუნდი შეკრიბა

## ირლანდიისთვის საქართველო სოლიდური მეტოქეა

ირლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჯოვანი ტრაპატონიმ** 6 და 10 სექტემბერს, საქართველოსა და ჩერნოგორიასთან თამაშებისთვის ნაკრების შემადგენლობა დაასახელა. იტალიელმა 22 ფეხბურთელი შეარჩია. ყველა ფეხბურთელი, ერთის გარდა, ინგლისური კლუბიდანაა:

მეკარეები: **შეი გივენი (ნიუკასლი), დენ კილი (ვესტ ბრომვიჩი).**

მცველები: **ალექს ბრუსი (იფსვიჩი), დემიენ დელენეი (ქუინზ პარკი), რიჩარდ დანი (მანჩესტერ სიტი), სტივ ფინანი (ლივერპული), სტეფან კილი (ბირმინგემი), ჯო ობრაიანი (ბოლტონი, ), ჯონ ოში (მანჩესტერი), პოლ მაკშეინი (სანდერლენდი).**

ნახევარმცველები: **კევინ კილბეინი (უიგანი), სტეფან ჰანტი (რედინგი), ეიდენ მაკგიდი (სელტიკი, შოტლანდია), ლაიამ მილერი, ენდი რიდი (ორივე სანდერლენდი), სტივენ რიდი (ბლექბერნი), გლენ უილანი (სტოკ სიტი).**

თავდამსხმელები: **კევინ დოილი (რედინგი), რობი კინი (ლივერპული), შონ ლონგი (რედინგი), ენდი კოე (ვულვერჰემპტონი), დერილ მერფი (ინგლისი).**

ტრაპატონის ნაკრებში „ნიუკასლის" ნახევარმცველის **დემიენ დაფის** გამოძახებაც სურდა, მაგრამ ჯორდმა ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. ნაკრების ექიმის რეკომენდაციით ფეხბურთელი გათავისუფლდა.

*„დემიენ დაფი ჩვენი ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელია. მასზე დიდ იმედებს ვამყარებ. ვწუხვარ, რომ სექტემბრის მატჩებში ის ვერ დაგვეხმარება. დარწმუნებული ვარ, მალე მალე მწყობრში ჩადგება და მომდევნო თამაშებში დიდ სარგებელს მოგვიტანს"*, - აღნიშნა პრესასთან საუბარში ჯოვანი ტრაპატონიმ.

სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა „სანდერლენდის" მცველი **პოლ მაკშეინი** და როგორც ხედავთ, ის უკვე ნაკრებშია.

ტრაპატონი ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოსთან მატჩს შეეხო: *„საკვალიფიკაციო ეტაპს რთული მატჩით ვიწყებთ. საქართველოს ნაკრებმა უელსში დაამტკიცა, რომ სოლიდური მეტოქეა. კარგია, რომ მათთან ნეიტრალურ სტადიონზე, გერმანიაში გვიწევს თამაში. თბილისში შეხვედრაზეც არ ვიტყოდი უარს, მაგრამ მთავარი უსაფრთხოების გარანტიებია, რომლის მოცემაც საქართველოში არსებული ვითარების ფონზე ძალიან ძნელია„.*

**დავით ცაბაძე**

# მარკოვის ოცეული ჩერნოგორიისთვის

6 სექტემბერს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი იწყება. პირველ შეხვედრაში ჩერნოგორია პოდგორიცაში ბულგარეთს მასპინძლობს. ბულგარელთა ნაკრების თავკაცმა პლამენ მარკოვმა შეხვედრისთვის ნაკრების შემადგენლობა დაასახელა:

მეკარეები: დიმიტარ ივანკოვი (ბურსა, თურქეთი), სტოიან კოლევი (ოცელული, რუმინეთი).

მცველები: ზივკო მილანოვი (ლევსკი), სტანისლავ მალონევი (ლიტექსი), ალექსანდრ ტუნჩევი (ლესტერი, ინგლისი), ვალენტინ ილიევი (ტერეკი, რუსეთი), იგორ ტომაშიჩი (მაკაბი, ისრაელი), ლუსიო ვაგნერი (ლევსკი), ივან ივანოვი (ცსკა სოფია).

ნახევარმცველები: სტანისლავ განცევი (ვასლუი, რუმინეთი), სტანისლავ ანგელოვი (კოტბუსი, გერმანია), სტანისლავ პეტროვი (ასტონ ვილა, ინგლისი), ჩავდარ იანკოვი (ჰანოვერი, გერმანია), ველიზარ დიმიტროვი (მეტალურგი დ. უკრაინა), იველინ პოპოვი (ლიტექსი), ბლაგოი გეორგიევი (სლავია), ზდრავკო ლაზაროვი (შინიკი, რუსეთი).

თავდამსხმელები: მარტინ პეტროვი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), დიმიტარ ბერბატოვი (ტოტენჰემი, ინგლისი), დიმიტარ რანგელოვი (კოტბუსი, გერმანია).

**დავით ცაბაძე**

U 21. შესარჩევი ციკლი

# უეფამ გადაწყვიტა: რუსეთთან ნეიტრალურზე

## რუსებმა ტრაქტორი შეარჩიეს

უკვე გაუწყეთ, რა ისტერიკაც მოჰყვა იმას, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ახალგაზრდული ნაკრების რუსეთში გაშვებაზე უარი თქვა. ქართულმა მხარემ თამაშის ნეიტრალურ სტადიონზე ჩატარება მოითხოვა. უეფამ გადაწყვეტილება გუშინ მიიღო და ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილა.

*„რუსეთსა და საქართველოს შორის წარმოქმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო უეფამ გადაწყვიტა, რომ რუსეთისა და საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებებს შორის 5 სექტემბერს გასამართავი მატჩი ნეიტრალურ სტადიონზე ჩატარდეს. გადაწყვეტილება საბოლოოა"*, - ასეთია უეფას ვერდიქტი.

ბუნებრივია, რუსულ მხარეს ეს არ მოეწონა, მაგრამ სხვა გზა არ აქვს და უეფას უნდა დაემორჩილოს. წყვილში მასპინძლის როლი რუსეთს აქვს და შესაბამისად, რუსეთის საფეხბურთო კავშირმა უეფას 29 აგვისტოს, 12 საათამდე ის სტადიონი უნდა მიუთითოს, სადაც საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს უმასპინძლებს.

როგორც ირკვევა, რუსეთის საფეხბურთო კავშირს მინსკის სტადიონი „ტრაქტორი" აქვს შეგულებული. რუსული მხარე აცხადებს, რომ მინსკის დროით მატჩი 18 საათზე დაიწყება. სტადიონის საკითხი საბოლოოდ დღეს გადაწყდება.

**დავით ცაბაძე**

უეფას თასი. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

# არანაირი თავის მართლება, უბრალოდ იღბალი...

**აუსტრია (ავსტრია)-ვიტ ჯორჯია (საქართველო) 2:0**

28 აგვისტო. ვენა. „ფრანც ჰორი". 6 181 მაყურებელი.

1:0 ჰატენბერგერი (26. დიაბანგის პასით), 2:0 ოკოტიე (73. დიაბანგის პასით)

აუსტრია: შაფარი - კრამერი, ბაკი (88. მადლი), შიემერი, მაისტეროვიჩი - ჰატენბერგერი, აჩიმოვიჩი (85. სუნი) - დიაბანგი (77. ბაზინა), ოკოტიე.

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ბეჭვაია, კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე - დათუნაიშვილი, რაზმაძე, მელქაძე (90. მაისაშვილი), კლიმიაშვილი (82. კვალინიძე) - ლიპარტია, კვარაცხელია (64. ღუჭაშვილი).

გაფრთხილება: ლომაია (31), კვარაცხელია (45), კრამერი (63), დიაბანგი (71).



აუსტრია-ვიტ ჯორჯია.
ვიტელებმა თავურები კარს ვერ დაუმიზნეს

ვიტჯორჯიელებმა ავსტრიელების დამარცხება ვერ შეძლეს, არც მიიჩნეოდნენ ფავორიტად, თუმც იყო იმედი, რომ სენსაციას მოახდენდნენ. მატჩის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" მთავარ მწვრთნელ **რამაზ მუმლაძეს** ვენაში დავუკავშირდით და მისი მონაყოლიდან თუ ვიმსჯელებთ, ვიტელებს არცთუ ურიგო შანსი ჰქონდათ მომდევნო ეტაპზე გასასვლელად.

- ძალიან საინტერესო თამაში იყო, ჩემი ფეხბურთელების უკმაყოფილო არ ვარ, მათ მადლობაც კი გადავუხადე. პირველ ტაიმში დასანანი გოლი გავუშვით - დაახლოებით საჯარიმო მოედნის ხაზიდან თავით დაგვირტყეს, ბურთი ყველა მცველს ასცდა და კარში შევარდა.

- გოლის გატანა ჩვენც გვმართებდა. ვახტანგ კვარაცხელია მარცხნიდან გაიჭრა ხელსაყრელ პოზიციაზე, ფაქტობრივად პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ კარში დარტყმას პასი ამჯობინა, რაც ცოტა ძლიერი გამოუვიდა და ჯაბა ლიპარტია ბურთს ვერ შესწვდა.

- კუთხურიდან ჩაწოდებულზე გიორგი დათუნაიშვილმა თავით დაასწრო მეკარეს, მაგრამ ბურთი ხარიხას გადაავლო.

- ერთი სიტყვით, ვერ ვიტყოდი, რომ მეტოქემ პირველ ტაიმში დაგვჯაბნა. მეორეში უკეთ ავთამაშდით, ბურთი კარგად დავიჭირეთ და გავაგორეთ. ორი კარგი მომენტი გვქონდა: კვარაცხელიამ ოთხი-ხუთი მეტრიდან ბურთს კარგად ვერ დაუხვედრა თავი, დავით ლომაიას კი მეკარემ აუღო.

- მეორე გოლი ასე გავუშვით - ჯარიმა დაარტყეს, ბურთი ცოცხალ კედელში გაძვრა, მერე ოკოტიეს მიუვიდა და ახლოდან შეაგდო. ჩვენი მცველი წინ რომ ამოსულიყო, მას თამაშგარეში ჩატოვებდა.

- არ მინდა თავის მართლებაში ჩამომართვათ, მაგრამ მეტოქეს მართლაც არაფერი დავუთმეთ. ოღონდ ეგ არის, რომ იღბალი ავსტრიელების მხარეს იყო, „აუსტრიაც" საკმაოდ კარგი გუნდია - გვითხრა მუმლაძემ.

**დავით თავართქილაძე**

# უეფას თასზე ქართველი აღარ დარჩა

## შტურმმა პენალტებით წააგო



ილია კანდელაკი (მარცხნივ) და გიორგი შაშიაშვილი (მარჯვნიდან მეორე) გოლს ზეიმობენ

**გიორგი შაშიაშვილისა** და ილია კანდელაკის „შტურმმა" გუშინ „ციურიხს" უმასპინძლა. შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ ამ გუნდების შეხვედრა ციურიხში 1:1 დამთავრდა. ასეთივე ანგარიშით დასრულდა გუშინდელი შეხვედრაც და ანგარიში არც დამატებით დროში შეცვლილა. საქმე პენალტების სერიამდე მივიდა, რომელშიც ციურიხელებმა 4:2 იმარჯვეს და მომდევნო ეტაპზეც გავიდნენ.

შაშიაშვილიც და კანდელაკიც სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ და შეხვედრა შეუცვლელად ჩაამთავრეს. პენალტებსა და გატანილ გოლში ქართველებს მონაწილეობა არ მიუღიათ

**დავით ცაბაძე**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი;
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
ნომრის მორიგე რედაქტორი დავით თავართქილაძე
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ თემურ ქეცბაიასთან

# ჩვენ ბევრი გავაოცეთ

## ქეცბაია ლიგაზე, კუპერსა და რუსეთის აგრესიაზე



ოლიმპიაკოსთან პირეოსული მატჩის შემდეგ თემურ ქეცბაია ხელში აიტაცეს

**თემურ ქეცბაიამ** შეუძლებელი შეძლო, ქართველმა მწვრთნელმა ერთ დროს უცნობი „ანორთოსისი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა. გუშინ ჩატარებულმა წილისყრამ ფამაგუსტელთა გუნდს B ჯგუფში „ინტერის", „ვერდერისა" და „პანათინაიკოსის" მეტოქეობა არგუნა. თემურს გუშინ კვიპროსზე დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით. მანამდე კი საინტერესოა, თუ რას წერენ ქეცბაიაზე დასავლეთში.

*„ანორთოსისი" პირველი კვიპროსული კლუბია, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდში მოხვდა. გუნდმა, რომელსაც ქართველი თემურ ქეცბაია წვრთნის, ბერძნული „ოლიმპიაკოსი" ორი მატჩის ჯამში 3:1 დაამარცხა. „დიდი ლედი" (ასე მოიხსენიებენ „ანორთოსისს") ჩემპიონთა ლიგაშია. ამ ტრიუმფის გამო ზეიმი ლარნაკაში დაიწყო და ფამაგუსტაში დასრულდა",* - წერს „როიტერი" და იქვე ქეცბაიას მცირე კომენტარს აქვეყნებს:

*„პატარა კვიპროსის გუნდი გრანდებთან ერთად ჩემპიონთა ლიგაშია. ამისათვის კარგა ხანს იბრძოდნენ კვიპროსული გუნდები და ბედნიერი ვარ, რომ ეს პატივი ჩვენ გვხვდა წილად. ჩემი ფეხბურთელები ნამდვილი გმირები არიან".*

*„ათენიდან ფამაგუსტას გმირები დაგვიბრუნდნენ. გრანდებისთვის ეს დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ფაქტია, რომ პატარა კვიპროსის „ანორთოსისი" ჩემპიონთა ლიგაშია. ქეცბაიამ და მისმა გუნდმა ევროპულ ფეხბურთს დიდი სასწაული შესთავაზა. „ანორთოსისს" ათენში 1 400 ფანი გულშემატკივრობდა. ახლა კი კვიპროსზე 4 ათასზე მეტ ქომაგი ზეიმობს",* - ასეთია „ფამაგუსტა გაძეტას" შეფასება.

*„ჩვენი გუნდის ყოფილმა ვარსკვლავმა თემურ ქეცბაიამ სამწვრთნელო კარიერაში მორიგი ტრიუმფი იზეიმა. მის მიერ მომზადებული პაწაწინა კვიპროსის „ანორთოსისი" ჩემპიონთა ლიგაშია. ქეცბაიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მიზანდასახული მწვრთნელია",* - წერს „ნიუკასლის" ოფიციალური ვებგვერდი.

ეს მხოლოდ რამდენიმე ამონარიდია და ვფიქრობთ, საკმარისია. ახლა კი დაპირებულ ინტერვიუს გავეცნოთ.

- მოლოცვებისათვის მადლობელი ვარ. საქართველოდან, საბერძნეთიდან, ინგლისიდან, შოტლანდიიდან... რა ვიცი საიდან ალარ დამიკავშირდნენ ნაცნობმეგობრები, ძველი თანაგუნდელები... ყველასი დიდად მადლიერი ვარ...

**- „ოლიმპიაკოსი" შინ 3:0 დაამარცხეთ, მაგრამ თქვენი განცხადებიდან გამომდინარე, საპასუხო მატჩის წინ მაინც ფრთხილობდით...**

- „ოლიმპიაკოსი" ძლიერი გუნდია და კარგად ვიცოდი, რომ საშინაო მატჩში ყველაფერს გააკეთებდა ლიგაში შესასვლელად. არ მინდოდა, ჩემს ფეხბურთელებს ეფიქრათ, რომ უკვე თავი ქუდში ჰქონდათ.

ათენში ოთხშაბათს ჩატარებულმა მატჩმაც დაამტკიცა, რომ სწორი განცხადება გავაკეთე. „ოლიმპიაკოსი" ალესილი გვეთამაშებოდა და შეიძლება ითქვას, რომ ანგარიშის მიუხედავად, ძალიან გაგვიჭირდა თამაში.

**- კვიპროსზე როგორ დაგხვდნენ, დიდი ზეიმი იყო?**

- თითქმის ისეთი, როგორიც თბილისში 1981 წლის 13 მაისს. ათენში ათასზე მეტი გულშემატკივარი გვქომაგობდა. ლარნაკას აეროპორტში გამთენიის 6 საათზე ჩამოვფრინდით. როგორც მითხრეს, ათი ათასი ფანი დაგვხვდა. ზეიმი ფამაგუსტაში გაგრძელდა... ახლაც ზეიმობს ქუჩებში ხალხი. სასწაული იყო. ბედნიერების ეს საათები არასოდეს დამავიწყდება.

**- ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის წილისყრა დღეს ჩატარდა. მეტოქეებზე რას იტყოდი?**

- კიდევ ერთხელ მოგვიწევს ბერძნებთან დაპირისპირება, ამჯერად „პანათინაიკოსთან". „ინტერი" გრანდია, ამ გუნდის სახელი თავისთავად ბევრზე მეტყველებს და ალარაფერს ვიტყვი. „ვერდერიც" ძლიერი, სახელოვანი გუნდია.

პირველი მატჩი 16 სექტემბერს „ვერდერთან" სტუმრად გვაქვს, მერე „პანათინაიკოსს" შინ ვეთამაშებით, შემდეგ კი „ინტერთან" მილანში მოგვიწევს ბრძოლა.

**- ამჯერად რა მიზნისთვის იბრძოლებთ?**

- ჩვენი მიზანი ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა იყო. ეს ამოცანა შესრულებულია. სენსაცია გამოვაცხვეთ, ბევრი გავაოცეთ და ახლა გვინდა ფეხბურთით ვისიამოვნოთ. ჩვენი გუნდი ყველა მეტოქესთან ბოლომდე იბრძოლებს და ვნახოთ, რა გამოვა. თუ ერთ-ორ თამაშს მოვიგებთ, ხომ კარგი, თუ არა და, თავს მაინც არ შევირცხვენთ.

**- თქვენს სამწვრთნელო შტაბში სოსო ჭედიაცაა. ასეთი თამაშებით ისიც დიდად აიმაღლებს კვალიფიკაციას.**

- დიახ, სოსო სწავლას არ თაკილობს, მონდომებულია და დონესაც იმაღლებს.

**- ბოლო ხანს „ანორთოსისში" კობა წიტაიშვილს არ უთამაშია...**

- მცირედი ტრავმა აწუხებდა და ჯერ კიდევ არაა სათანადო ფორმაში. სოსოს დარად, კობაც ჩვენი გუნდისთვის საჭირო ფიგურაა.

**- „ოლიმპიაკოსთან" საპასუხო მატჩამდე „აპოელთან" სუპერთასის დათმობამ მოგიწიათ...**

- ძნელია ორ ფრონტზე ბრძოლა. სუპერთასის მოპოვებაც ძალიან გვინდოდა, მაგრამ „აპოელის" გოლს ვერაფრით ვუპასუხეთ და 1:0 წავაგეთ. ჩვენთვის უფრო დიდი მიზანი ლიგის ჯგუფურ რაუნდში მოხვედრა იყო და ეს შევძელით კიდეც.

**- ბუნებრივია, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ინტერესით ადევნებ თვალს.**

- ჩემი სული და გული საქართველოშია. წარმოუდგენელი რამ მოხდა. ყველაზე ცუდ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ რუსეთი ამას გააკეთებდა და ამ აგრესიის შემდეგ კიდევ განაგრძობდა ქართულ ქალაქებსა და სოფლებში თარეშს. ვარჯიშების შემდეგ ხან ტელეფონით ვესაუბრები ჩემიანებს, ახლობლებს, მეგობრებს... საინფორმაციო გამოშვებებს ვუსმენ. ყველანაირად ვგმობ ამ აგრესიას და მთელი კვიპროსი და საბერძნეთიც ამ აზრს იზიარებს. აქაური ქართველებიც ხშირად მართავენ საპროტესტო აქციებს... იმედი მაქვს, ყველაფერი მალე დაწყნარდება, მშვიდობა დამყარდება და დანგრეულის ნაცვლად უკეთესს ავაშენებთ. მჯერა, უკეთესი ქვეყანა გვექნება.

**- ახლა სხვა თემაზე ვისაუბროთ. საქართველოს ნაკრების თავკაცის პოსტზე თქვენი კანდიდატურაც განიხილებოდა. ეროვნული ექტორ კუპერს ჩააბარეს. ამ არჩევანს როგორ შეაფასებდით?**

- კუპერი მაღალკვალიფიციური მწვრთნელია. იმედი მაქვს, გაამართლებს. კვალიფიკაცია ტოპმიოლერსაც არ აკლდა, მაგრამ საბოლოო ჯამში ყველა დავრწმუნდით, რომ შედეგი არ ჰქონდა. ან მან დააკლო რამე ჩვენს ნაკრებს, ან სხვა მიზეზთან გვქონდა საქმე.

**- უელსთან ჩვენი ნაკრების თამაში თუ ნახეთ?**

- კი, და მართალი გითხრათ, ჩვენი ნაკრები მომეწონა. კალაძე, კობიაშვილი და ძირითადი შემადგენლობის სხვა ფეხბურთელები გვაკლდნენ, მაგრამ ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და შრომაც დაუფასდათ - მატჩი მოვიგეთ.

**- მაინც რა მოგეწონათ? კუპერის სამწვრთნელო მონახაზი დაინახეთ?**

- ერთი მატჩით ძნელია მწვრთნელის მონახაზზე დასკვნების გაკეთება. უელსთან თამაშში გამოჩნდა, რომ ჩვენს გუნდს ჰქონდა მიზანი და ამისთვის იბრძოდა; იცოდა, რისთვის იყო მოედანზე. კომბინაციებიც გამოგვივიდა. ძალიან მომეწონა ახალგაზრდა ყენია. ეგ ბიჭი მაღალი დონის ფეხბურთელი დადგება, მთავარია, არ მიიჩნიოს, რომ უკვე რაღაცას მიაღწია და ზრდა არ შეწყვიტოს.

**დავით ცაბაძე**

# თარგამაძემ ვიზა და უფლება მიიღო

## რუსეთთან სადაც არ უნდა ვითამაშოთ...



დავით თარგამაძე

**დავით თარგამაძემ** მეორებუნდესლიგელ "ფრაიბურგთან" კონტრაქტი გააფორმა, ორი საკონტროლო მატჩი გამართა და საქართველოში დაბრუნდა. მიზეზი ნაცნობია: ევროკავშირის ქვეყნებში არაევროკავშირელი ფეხბურთელებისთვის სამუშაო ვიზის მიღება საკმაოდ გართულებულია.

ათდღიანი მოლოდინის შემდეგ დათოს გერმანიაში თამაშის უფლება დართეს და დღეს ის უკვე ფრაიბურგშია: *"ორი დღეა, რაც ფრაიბურგში ჩამოვედი. სამშაბათიდან ვარჯიშს ძირითად გუნდთან ერთად დავიწყებ. დუბლების პერიოდი კი, შემიძლია გითხრათ, უკვე დასრულდა - "ფრაიბურგის" ძირითადი გუნდის წევრი გავხდი"*, - გვითხრა ფეხბურთელმა.

დათო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **პეტარ შეგრტმა** 5 სექტემბერს რუსეთსა და 10-ში პოლონეთთან მატჩებისთვის მოიწვია: *"აუცილებლად ჩამოვალ. ახალგაზრდულ ნაკრებს მნიშვნელოვანი შეხვედრები ელის და ძალიან მინდა ვითამაშო. განსაკუთრებით, რუსების წინაალმდეგ თამაშის სურვილი მაქვს. თუმცა დღემდე ვერ გავიგე, შეხვედრა სად გაიმართება. როგორც ვიცი, კვლავ გაურკვეველი ვითარებაა. კარგი იქნება, უეფა დროულად თუ გვეტყვის, რუსებს სად შევხვდებით."*

არა მარტო თარგამაძე, მთელი საფეხბურთო საქართველო უეფას გადაწყვეტილებას ელოდება, თუ სად გაიმართება 5 სექტემბერის მატჩი (ფეხბურთელთან საუბრის მომენტში ჯერ გარკვეული არ იყო, რომ მატჩი ნეიტრალურ სტადიონზე გაიმართებოდა. ავტ). ფრაიბურგელი მიიჩნევს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ვალდებულია, რუსეთის ნაკრებთან იომოს: *"ვალდებულნი ვართ, მოედანზე საბრძოლველად გავიდეთ და დავამტკიცოთ, რომ ხელწამოსაკრავი არც გუნდი გვყავს და არც ერი. რუსეთს თუ მოვუგებთ, ამით დავანახვებთ, რომ საქართველოს წინაალმდეგ უძლურია. არ აქვს მნიშვნელობა, შეხვედრა მოსკოვში ჩატარდება თუ ნეიტრალურ მოედანზე. ჩვენი ღირსება ყველგან უნდა დავიცვათ."*

**მერაბ მამულაშვილი**

# ფინეთის უმაღლესში ექსმერანელს იწვევენ

## ნიკურაძე ფეხბურთიდან წავიდა

**თბილისის** „შევარდენი", „დინამო 2", ფინეთის კლუბები „კოტეპე", TP-47, ერევნის „ბანანცი" - ეს ის კლუბები გახლავთ, სადაც **გიორგი ნიკურაძე** თამაშობდა. მეკარემ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშიც მოასწრო. ბოლოს გიორგი ფინეთიდან საქართველოში დაბრუნდა, როგორც მაშინ ფიქრობდა - დროებით. რეგიონალლიგის ერთ-ერთ კლუბში ის ფორმის შესანარჩუნებლად ვარჯიშობდა. თუმცა 28 წლის ასაკში კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

*„28 წელი მეკარისთვის სიმწიფის ასაკია. ფეხბურთიდან წასვლაზე არც ვიფიქრებდი, რომ არა ორი ფაქტორი. შარშან მუხლის ოპერაცია გავიკეთე, ფიზიკურად გამიჭირდა, ტკივილებმა შემაწუხა. ფორმის აღდგენა შეიძლებოდა, მაგრამ პირველ ეტაპზე საქართველოში უნდა მეთამაშა. ჩვენთან სავარჯიშო და სათამაშო პირობები ძალიან ცუდია. მივხვდი, რომ საქართველოში თამაშს ფეხბურთიდან წასვლა მერჩივნა. არადა, ფინეთიდან დამიკავშირდნენ „მარიანჰამინა" და „კოტეპე". ასეთ მდგომარეობაში დაბრუნებას კი აზრი არ ჰქონდა"*, - გვითხრა ნიკურაძემ.

გიორგი მენეჯერობას აპირებს. მალე ის ფიფას შესაბამის ლიცენზიას მოიპოვებს. იქამდე კი მისი რეკომენდაციით რამდენიმე ფეხბურთელი ფინურ კლუბებში უკვე ჩაირცხა. *„სამწუხაროდ, ქართული ფეხბურთის იმიჯი იმდენად შეირყა, რომ ძლიერ კლუბებს ჩვენი მოთამაშეების აყვანა არ სურთ. ამიტომაც, ჯერ დაბალი ლიგის გუნდებს ვურჩევ ქართველების აყვანას, რათა ჩვენებურებმა თავი გამოიჩინონ და შემდეგ სოლიდურ კლუბებში გადავიდნენ.*

*მაგალითად, მეორე ლიგის „ასეკაიანში" „გაგრის" მეკარე ზურაბ ტალახაძე აიყვანეს და ძალიანაც მოსწონთ. ის წელს, ალბათ, პირველი ლიგის გუნდში გადავა. „ჰაკაში" ჩაირიცხა მეკარე ლევან ლომიძე, მას კუუსიუსლიგის (უმაღლესი ლიგა) გუნდები აკვირდებიან. „მერანის" ყოფილმა მცველმა გიორგი ოსიტაშვილმა „კუსანკოსკიში" ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა და მასაც კუუსიუსლიგის რამდენიმე გუნდი იწვევს - „მიუპა", „ლახტი", „ჰონკა". მათ შორის ყველაზე აქტიური „ლახტია".*

*მოლაპარაკების სურვილი ჩემს ყოფილ კლუბ „კოტეპესაც" ჰქონდა, მაგრამ ის გავარდნის კანდიდატია და აზრი არ ჰქონდა"*, - გვითხრა ნიკურაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

პორტრეტი

# სანდრო იაშვილი გზაჯვარედინზე...



ღია 2007-ის კულმინაცია - საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გალა-დაჯილდოებაზე ორი უმთავრესი ნომინანტის ვინაობაღა დარჩა გამოსავლენი. და აი, ნომინანტებიც: საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი **შოთა არველაძე** და ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი **სანდრო იაშვილი**! ლამაზი და, ცოტა არ იყოს, სენტიმენტალური მომენტი იყო - დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის საუკეთესო ფორვარდი და ახალი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენელი სცენაზე გვერდიგვერდ დგანან; შოთას მანამდეც ნათქვამი ჰქონდა, მაგრამ ახლა უკვე ოფიციალურად ახმოვანებს ნაკრებიდან წასვლის გადაწყვეტილებას - დროა, ასპარეზი ახალგაზრდებს დავუთმოო. დარბაზში მსხდომთ და საერთოდ, ქართველ ქომაგს ამ გადაწყვეტილებაზე გული დასწყდა-თქო, თუ ვიტყვით, მეტისმეტად რბილი ნათქვამი იქნება, მაგრამ იმედიც რჩება - სანდრო იაშვილმა უნდა შეცვალოს შოთა! ძნელი? ძნელი კი არა, არავისთვისაა უცხო, რომ შოთა არველაძის სრულფასოვანი შეცვლა ურთულესი საქმე იქნება, მაგრამ კიდევ ვიმეორებთ, იმედი ყველას გვაქვს - იქვე, ქართული ფეხბურთის დამსახურებული პიროვნების გვერდით ახალგაზრდა, ნიჭიერი ბიჭი დგას. ბიჭი, რომელმაც ჩვენს ჩემპიონატში ჩინებული სეზონი ჩაატარა - საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა და საუკეთესო ბომბარდირიც. მართალია, მისმა გუნდმა ვერც ჩემპიონობა მოიპოვა და ვერც თასი, მაგრამ იმდენად შთამბეჭდავად თამაშობდა, ლაურეატობა არავის გაჰკვირვებია. ის კი არა, არც გვახსენდება, „სარბიელის" ტრადიციულ გამოკითხვაში ვინმეს ასეთი უპირატესობით გაემარჯვოს...

...იმ ლამაზი სალამოდან წელიწადზე ცოტა მეტი გავიდა; შოთამ სანაკრებოს გარდა საკლუბო კარიერაც დაასრულა და ისეთი გაცილებაც ჰქონდა, მისნაირ ფეხბურთელს რომ ეკადრება. და მისი პოტენციური და რეალური შემცვლელი? სამწუხაროდ, სანდრო იაშვილმა ნაკრებში ვერ დაიმკვიდრა ადგილი და უფრო მეტიც - ამჟამად, სულაც უგუნდოდ არის! საწყენია, რომ ამ ჩინებული მონაცემების ახალგაზრდა ფეხბურთელს კარიერა ვერ აეწყო. რაღა დარჩა - ორიოდ დღეში სატრანსფერო ფანჯარა დაიხურება და უგუნდოდ იყოს? თანაც უცხოეთს ვინ ჩივის - საქართველოშიც არ მოიძებნა გუნდი, ნიჭიერი ფორვარდი თავისთან რომ წაეყვანა. თუმცა აქ სხვა, არცთუ უმნიშვნელო დეტალიც არის - სანდრო კონტრაქტით თბილისის „დინამოს" ეკუთვნის და იქნებ მის განათხოვრება-გაყიდვაში ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი არარეალურ თანხას ითხოვს?

ანდა, იქნებ, თვითონ ფეხბურთელი ითხოვს რაღაც „ზებუნებრივ" კონტრაქტს? თუმცა არც პირველის და არც მეორე ვარიანტის დაჯერება არ გვინდა. რეალურად კი სურათი ასეთია: თუ ამ უახლოეს დღეებში (თუ - საათებში) რაიმე არ შეიცვალა, სანდრო იაშვილს, სულ მცირე ექვსი თვე... საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში, „დინამო 2-ში" მოუწევს თამაში!

ახლა უაზრობაა კამათი იმის შესახებ, უნდა წასულიყო თუ არა შარშან შვეიცარიულ „თუნში". ჩვენი აზრით, ცუდი გადაწყვეტილება არ იყო - არცთუ ძლიერი ლიგის არცთუ ძლიერ გუნდში თავის გამოჩენის მეტი შანსი ექნებოდა. ბოლოს და ბოლოს, ევროპაა, თანაც შვეიცარიაში ნიჭს წარმოაჩენდა და უფრო ძლიერი ლიგებისკენაც გზა ხსნილი ექნებოდა. სამწუხაროდ, ეს სეზონი, ფაქტობრივად, ჩაუვარდა - „თუნი" შვეიცარიის უმაღლეს ლიგას გამოეთხოვა და ქართველ ფორვარდსაც ერთობ მწირი სათამაშო დრო ეძლეოდა. სხვა გუნდებზეც იყო ლაპარაკი - ჯერ კიდევ ზამთარში ავსტრიულ „შტურმში" იყო გასინჯვაზე, სულ ახლახან კი მინსკის „დინამოში". ორივე შემთხვევაში ტრანსფერი არ შედგა და ამის მიზეზზე ხმამაღლა არავინ საუბრობს, ისე როგორც რამდენიმე წლის წინ, როცა თითქმის გადაწყვეტილი იყო ქართველი თავდამსხმელის „კრილია სოვეტოვში" გადასვლა. აღარაფერს ვამბობთ „გლაზგო რეინჯერსში" სტაჟირებაზე - შოტლანდიური ფეხბურთის გრანდში ქართველის ფიზიკური მონაცემები ძალზე მოეწონათ. სხვანაირად ვერც იქნებოდა - ბრიტანელებიც გაოცებულნი იყვნენ ახალგაზრდა ქართველის ისეთი თვისებით, მაღალი ბურთისთვის ბრძოლა რომ ჰქვია. ჰო საჰაერო ორთაბრძოლებში სანდრო მართლაც ბრწყინვალეა და გოლების უმრავლესობაც თავით აქვს გატანილი. ასე იყო მისთვის ყველაზე წარმატებულ - 2006-2007 წლების სეზონში და უფრო ადრეც. ფიზიკურად ძლიერს, მაღალი ნახტომის გარდა, ცენტრფორვარდისთვის დამახასიათებელი სხვა აუცილებელი თვისებებიც მომადლებული აქვს - „ტანის ჩადგმაც" ეხერხება, პოზიციის შერჩევაც იცის და ტექნიკასთანაც არ არის მწყრალად. წარმატებული სეზონი რომ ვახსენეთ, იმ პერიოდში იაშკა მართლაც უბადლო იყო. ერთ სიამოვნებად ღირდა იმდროინდელი „დინამოს" უპირობო ლიდერის თამაშის ხილვა. ერთადერთი, ნაკრებში თავის გამოჩენის შანსიღა აკლდა, მაგრამ იმ დროს **ტოპმიოლერისთვის** საქართველოს ჩემპიონატში „საინტერესო" ფეხბურთელები არ თამაშობდნენ. ყოველ შემთხვევაში, გერმანელი მწვრთნელი ასე მიიჩნევდა და მართლაც ჩინებულ ფორმაში მყოფ იაშვილს შანსი ერთხელაც არ მისცა. ისე, იაშკას საქართველოს ეროვნულ ნაკრებში სამი შეხვედრა აქვს ჩატარებული. ოღონდ, ეს უფრო სიმბოლური ხასიათის იყო: ოთხი წლის წინ, საქართველოს ნაკრებმა კვიპროსში საერთაშორისო ტურნირზე მიიღო მონაწილეობა და ფეხბურთელების აბსოლუტური უმრავლესობა... იმ დროს იქვე შეკრებაზე მყოფი თბილისის „დინამოდან" იყო. აი, ეს იყო სულ - ამის მერე სანდრო იაშვილი ნაკრებში აღარ გამოუძახებიათ. არადა, მანამდე, თუ რაიმე ასაკობრივი ნაკრები (16, 17, 19 თუ 21-წლამდე) არსებობდა, ყველგან გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნეოდა.

ხშირად გაგვიგია - სანდრო იაშვილს ხასიათი უშლის ხელს, თორემ უფრო მეტს მიაღწევდაო. ნამდვილად, ემოციურია (ხანდახან - ზედმეტადაც), ხშირად მატჩის დროს თანაგუნდელებსა თუ მეტოქესთან პოლემიკაც გაუმართავს, მწვრთნელებისა თუ არბიტრების გადაწყვეტილებებისთვის არაერთგვაროვანი შეფასებებიც მიუცია, მაგრამ ფეხბურთს ხომ მისნაირი ტიპები ალამაზებენ?! თანაც, რაც ყველაზე ფასეულია, ახალგაზრდულ ასაკშივე გამოავლინა ქარიზმა და ლიდერის თვისებები, უყვარს და სტკივა ფეხბურთი...

ორიოდე დღეც და სატრანსფერო ფანჯარა დაიხურება. ქართულ ფეხბურთს კი იმის ფუფუნება ნამდვილად არ აქვს, სანდრო იაშვილის მსგავსი ნიჭიერი ახალგაზრდები დაკარგოს. ყოველ შემთხვევაში, პირველ ლიგაში გატარებული ექვსი თვე ამ ფეხბურთელის კარიერის აქტივში ნამდვილად არ ჩაითვლება...

**გია ტუხაშვილი**

# მგლებს დაფინანსება არ შეუწყდება

## გოროზიამ დამფუძნებელი დაამშვიდა



ბესიკ შეროზია

რუსი ოკუპანტები სამეგრელოს რეგიონში დგანან და წასვლას არ აპირებენ. საქართველოში მაინც ცდილობენ, ცხოვრების ნორმალურ რეჟიმს დაუბრუნდნენ - გამონაკლისი არც საფეხბურთო სამყაროა. ზუგდიდის „მგლები" ურეკის შეკრების შემდეგ მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და მომზადება განაგრძო.

„მგლები" შარშან სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. წელს კი კლუბის ბიუჯეტს ზუგდიდის მერია და დამფუძნებელი ლაშა დარასელია სანახევროდ შეავსებენ. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რის გამოც „მგლების" მთავარ მწვრთნელ **ბესიკ შეროზიას** დავუკავშირდით.

რუსებმა საქართველოს უზარმაზარი მატერიალური ზიანი მიაყენეს. შეძლებენ კი უახლოეს პერიოდში ადმინისტრაციული ერთეულები კლუბების ძველებურად დაფინანსებას? ყველას ესმის, რომ რუსეთის ბარბაროსობის შემდეგ ფეხბურთზე მნიშვნელოვანი პრობლემებია მოსაგვარებელი. ამის მიუხედავად, ბესიკ შეროზია იმედიანადაა განწყობილი: *„ძალიან კარგი იქნება, თუკი შეპირებულ დაფინანსებას მივიღებთ. ამის იმედი გაჩნდა. „მგლები" დიდი მადით არც გამოირჩევა. ტრანსფერებს აღარ განვახორციელებთ და, წესით, არ უნდა გაგვიჭირდეს. რაც მთავარია, სეზონისთვის მომზადება ურეკში გავიარეთ, ახლა სოფელ კახათში ვვარჯიშობთ საომარ ვითარებაში. ვფიქრობ, ესეც ძალიან კარგია. ვესაუბრე ჩვენს დამფუძნებელ ლაშა დარასელიას, ის შემპირდა, რომ პრობლემა არ შეგვექმნება. გუნდის არსებობისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია".*

მისივე ინფორმაციით, ზუგდიდის მერია და „მგლების" დამფუძნებელი **ლაშა დარასელია** დაფინანსების პრინციპებზე საბოლოოდ შეთანხმდნენ: *„ლაშა დარასელია სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულ ზაზა გოროზიას შეხვდა და მისგან მიიღო დაპირება, რომ წინასწარი შეთანხმება, მიუხედავად ომისა, მაინც შესრულდება. რა თქმა უნდა, გვესმის, რომ დიდი ბიუჯეტი არ გვექნება, მაგრამ ხელფასების დარიგებაში, ვარჯიშსა და გადაადგილებაში ხელი არ შეგვეშლება. არც ფორმისა და ბურთების პრობლემა გვექნება და არც სასტუმროში დაბინავების. მოედნის პრობლემა ზუგდიდში არ არსებობს, რომლის ხარისხის შენარჩუნებაში ხელს კლიმატი გვიწყობს. ასე რომ, სეზონს იმედიანად ვხვდებით"*, - განაცხადა „მგლების" მთავარმა მწვრთნელმა.

**მერაბ მამულაშვილი**

# გორში დიდი ფერისცვალებაა

## ქართლში თბილისი და დილა გაერთიანდნენ

**გორის** „დილა" უმაღლესი ლიგიდან გავარდა და დაიშალა. შეიძლება ითქვას, რომ კიდევ ერთი ტრადიციული გუნდი "გავიდა გალმა, მარილზე". მისთვის ფული არ მოინახა ომამდე და ომის შემდეგ ბარბაროსებისგან განადგურებულ და დაყაჩაღებულ ქალაქში ფეხბურთისთვის არავის სცხელა. თუმცა გორში ფეხბურთი არ ჩამკვდარა - ახალდაარსებული გუნდი „დილა გორი" რეგიონალლიგის „თბილისთან" გაერთიანდა. ერთობით გორს ამბიცია და პერსპექტივა გაუჩნდა. ამის თაობაზე გაერთიანებული გუნდის მთავარი მწვრთნელი პაატა მეტრეველი გვესაუბრება. შეგახსენებთ, რომ მეტრეველი საფეხბურთო სკოლა „ოლიმპისა" და რეგიონალლიგის „თბილისის" მწვრთნელი გახლდათ. მისი აღზრდილია ნახევარმცველი ზაქარია ბეგლარიშვილი, რომელიც ამსტერდამის „აიაქსში", წესით, დღე-დღეზე უნდა ჩაირიცხოს.

**- ბატონო პაატა, რამ განაპირობა თბილისელთა და გორელთა ძალების გაერთიანება?**

- საკმაოდ საინტერესო კლუბი გვყავდა რეგიონულ ლიგაში. გორელები კი უმაღლესი ლიგიდან გავარდნენ და პირველ ლიგაში გამოსვლასაც ვერ ახერხებდნენ. გვითხრეს, რომ ლიგაში ადგილის დაკარგვა არ სურდათ, ამიტომ თანამშრომლობა შემოგვთავაზეს. ბოლო დღეებში არავის ეფეხბურთებოდა. საბედნიეროდ, რუსები გავიდნენ და ქალაქი ნორმალურ ცხოვრებას ნელ-ნელა უბრუნდება. გვსურს, რომ ამ საკითხზე გორის ადმინისტრაციას დაველაპარაკოთ.

**- გუნდი სად ვარჯიშობს?**

- თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე, „ოლიმპის" სტადიონზე. თამაშებს კი გორში ჩავატარებთ.

**- შემადგენლობა „თბილისის" ბაზაზე ჩამოყალიბდა?**

- თბილისელებიც გვყავს და გორელებიც. გორში ძლიერი საფეხბურთო სკოლაა და იქ ბევრი ნიჭიერი ბავშვი იზრდება. მათზე უარს რატომ ვიტყოდით?!

**- გორელებიდან ვინ დაიმატეთ?**

- უმთავრესად, ახალგაზრდები - სადალაშვილი, წინამძღვრიშვილი, იჩქითი, პაპიტაშვილი, ჩერქეზიშვილი, მეკარე კეჩხუაშვილი. მათი უმრავლესობა 1990 წელსაა დაბადებული.

**- ახალი გუნდი რა მიზნებს ისახავს?**

- გვსურდა, პირველ ლიგაში ძლიერი გუნდი ჩამოგვეყალიბებინა. მთავარია, დაფინანსების საკითხი.

**- ახლა ვინ გაფინანსებთ?**

- ჯერ არავინ. ამიტომ ვამბობ, დაფინანსების საკითხი გასარკვევია-მეთქი. თავადაც მიხვდებით, ომი ორი დღის დამთავრებულია და როგორია, უცებ დაფინანსებაზე ლაპარაკი.

**- ბევრს ჰგონია, რომ „თბილისი" რუსთავის „ოლიმპის" ფარმკლუბი იყო.**

- არა, ის სხვა გუნდია.

**- თქვენი აღზრდილი ბეგლარიშვილი „აიაქსში" მიდის. გულახდილად გვითხარით, ის გამონაკლისია თუ თაობა მართლა მოდის?**

- თაობა როგორ არ მოდის?! ბეგლარიშვილი თავის ასაკში გამორჩეული იყო, მაგრამ სხვა ნიჭიერი ბავშვებიც არიან. ბეგლარიშვილმა, ყენიამ, თარგამაძემ, მჭედლიძემ უახლეს მომავალში დიდი ტვირთი უნდა აიღონ საკუთარ თავზე. კიდევ დაგისახელებთ 1991 წელს დაბადებულებს. კარგი ბავშვები არიან: ქარდავა, ფაილოძე, სორდია. ეს უკანასკნელი ახლახან 19-წლამდელთა ნაკრებში გამოიძახეს. ერთი სიტყვით, იმედი არის.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლევან ბერძენიშვილთან

# ინტელექტუალური ამოცანა
## არ იცი გაუდი? ნუ ილაპარაკებ ბარსაზე!



ლევან ბერძენიშვილი: მაინც ევროპელები გამოვდექით

**რა არის ფეხბურთი? ამოუწურავი თემა, განსაკუთრებულად დემოკრატიული თამაში და კიდევ ძალიან ბევრი რამ...**

**ეს არის ძალიან რთული თამაში, რომელსაც მარტივი წესები აქვს. ფეხბურთზე საუბარიც არ არის ადვილი, შესაბამისად, რთულია საინტერესო რესპონდენტის მოძებნაც.**

**რესპუბლიკური პარტიის ლიდერი ლევან ბერძენიშვილი არაორდინარული მოსაუბრე და თითქმის ყველა გაზეთისა თუ ტელეარხისთვის სასურველი სტუმარია, თუმცა მასთან იშვიათად ილებენ ინტერვიუს აპოლიტიკურ თემებზე.**

**ბერძენიშვილს ფეხბურთზე ვესაუბრეთ. პოლიტიკოსი, რომელსაც გონება კარგად უჭრის და მახვილი სიტყვაც ეხერხება, „ლელოს" კითხვებს უპასუხებს.**

**- ხელისუფლებას ჰქონდა კონკრეტული პროექტები ქვეყანაში სპორტისა და ფეხბურთის განვითარებაზე. საქართველოში დატრიალებული მოვლენები ალბათ ბევრ რამეს შეცვლის. როგორ ფიქრობთ, უახლოეს მომავალში ხელისუფლება დააფინანსებს მისსავე ინიციატივით შექმნილ საფეხბურთო პროექტებს?**

- როგორი უნდა იყოს პროგრამები და როგორ უნდა იქცეოდეს ხელისუფლება - ეს არის მთავარი. ხელისუფლებას ჰქონდა სპორტული და საფეხბურთო პროექტები. როცა ქვეყანას გაუჭირდა, კიდევ უფრო ნათელი გახდა, როგორ და რა პროგრამებზე უნდა გადაანაწილოს ხელისუფლებამ თანხები. საფეხბურთო სისტემა უნდა იყოს აწყობილი - ეროვნული ჩემპიონატი ხელისუფლების დახმარების გარეშე ვერ მომძლავრდება. ახლა, როცა ქვეყანაში ფორსმაჟორული სიტუაცია შეიქმნა, სახელმწიფომ ფეხბურთის დაფინანსება არ უნდა შეამციროს, უმჯობესი იქნება, თუ დაფინანსება გაიზრდება.

ალმოჩნდა, რომ ჩვენი ჯარი კარგად იყო მომზადებული, რეზერვისტები კი - პირიქით. არადა, რეზერვისტებზე სახელმწიფო უფრო მეტ თანხას ხარჯავდა, ვიდრე საფეხბურთო პროექტებზე. რეზერვისტები, პატრიოტთა ბანაკები და კოკოითი ფანდარასტი - ფუჭი პროექტები გამოდგა, რომელთა დაფინანსება საკმაოდ ძვირი დაჯდა. სპორტი და კონკრეტულად ფეხბურთი კი ისეთია, აქ თუ ხელისუფლება ფულს დახარჯავს, ამონაგები აუცილებლად იქნება და მოვა დრო, სპორტი იქით დაეხმარება სახელმწიფოს.

**- ახლა ძალიან აქტუალური გახდა ორმაგ სტანდარტებზე ლაპარაკი. ორმაგი სტანდარტებია მსოფლიო პოლიტიკაში, ზესახელწიფოებში, ცალკეული ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. დამეთანხმებით, რომ საქართველოშიც არის ორმაგი სტანდარტები, თუნდაც ხელისუფლების დამოკიდებულებაში ფეხბურთთან - ფედერაციის უწინდელი ხელისუფლება განდევნეს, მერე კი ისეთი ამბები მოხდა ფედერაციის პრეზიდენტის შარშანდელ თუ 2005 წლის არჩევნებზე, რომ... როგორ ფიქრობთ, გაუძლებს ორმაგ სტანდარტებს ქართული ფეხბურთი?**

- ქართული ფეხბურთი ორმაგ სტანდარტებს ვერ გაუძლებს. პოლიტიკაში შესაძლოა გაჩნდეს ისეთი ფსევდოტიპაჟი, რომელიც დროთა განმავლობაში გამოიწრთობა, სპორტში კი ეს შეუძლებელია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ფაქტობრივად არაპროფესიონალები მართავენ. სიმპათიებით ვიყავი განმსჭვალული ნოდარ ახალკაცის მიმართ - დიდი ნოდარ ახალკაცის შვილი, ევროპულ განათლებამიღებული და კიდევ ის, რომ თავიდან დამოუკიდებელი პრეზიდენტი ჩანდა, მაგრამ მერე... ისიც საკითხავია, რა კავშირშია ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე ფეხბურთთან? ზოგადად, ის კარგი ადამიანია, მაგრამ მოუწია ერთ-ერთი ორგანიზატორი გამხდარიყო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის „არჩევნებზე". ახალკაცს კი ასწავლეს, როგორ გააყალბოს არჩევნები.

**- და რისთვის გაკეთდა ყოველვე ეს? მიგაჩნიათ, რომ ეს ელიტური კორუფციის ერთ-ერთი გამოვლინება იყო?**

- კონკრეტული ფაქტები არ მაქვს, მაგრამ, რა თქმა უნდა, კორუფციის ნიშნები აქ არის, ამაში დარწმუნებულიც კი ვარ. ვიცი, ხელისუფლების მხრიდან ვინ მონაწილეობდა ყოველივე ამაში და მათგან ყველაფერია მოსალოდნელი - მათ ხომ დაინახეს, რომ ყველაფერი ეპატიებათ.

**- არის რამდენიმე მოსაზრება, თუ როგორ უნდა დაეხმაროს ხელისუფლება ეროვნულ ჩემპიონატს. საგადასახადო შეღავათების დაწესება ფეხბურთში მოსაქმე ბიზნესმენებისთვის, ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, საპრიზო ფონდის დაწესება... როგორია თქვენი თვალსაზრისი?**

- ეროვნულ ჩემპიონატს მაყურებელი არ ჰყავს. საქართველოში ხალხი დადის ისეთ კონცერტებზე, რომლის ხარისხი არ აღემატება ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატს. ასე რომ, ხარისხი არ უნდა იყოს უმთავრესი პრობლემა. მაყურებელი სტადიონზე ჟინს მოჰყავს. რადგან ქართული საფეხბურთო სამყარო დამოუკიდებლად ვერ ახერხებს საფეხბურთო კულტურის შექმნას, მას ამაში სახელმწიფოს დახმარება სჭირდება. ეს ინტელექტუალური ამოცანაა. სპორტის საკითხებს პარლამენტში გიორგი ასანიძე კურირებს, ის ოლიმპიური ჩემპიონია, რასაც ინტელექტის გარეშე ვერ შეძლებდა. თუ შესაძლებელია, მდარე კონცერტზე ასიათასამდე ადამიანის მიყვანა, რატომ არ შეიძლება იმავეს გაკეთება „დინამო"-"ვიტ ჯორჯიის" მატჩზე, თანაც მაშინ, როცა კარგი სტადიონი გვაქვს?

ჩინელებს მაინცდამაინც არ უყვართ ფეხბურთი, მაგრამ წლევანდელ ოლიმპიადის საფეხბურთო მატჩებს ათეულათასობით ჩინელი ესწრებოდა, რადგან ჩინეთის ხელისუფლებამ ამაზე იზრუნა, საკითხს კონცეპტუალურად მიუდგა.

**- საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს თავისი სპეციფიკა აქვს - კლუბებს, ფაქტობრივად, არ აქვთ განვითარების სტრატეგია და ფილოსოფია. ალბათ გახსოვთ, 80-იან წლებში ინგლისური კლუბები მათი გულშემატკივრების ხულიგნობის გამო რომ მოკვეთეს ევროტურნირებიდან. მაშინ ინგლისური კლუბების მესვეურები ერთად დასხდნენ და ახალი კონცეფცია შეიმუშავეს, გულშემატკივრებთან იმუშავეს და აუხსნეს, რომ აგრესია ცუდია და რომ ფეხბურთზე კაცი ცოლ-შვილთან ერთად უნდა მივიდეს, ბებია და ბაბუა შვილიშვილთან ერთად - ამაში მათ ბრიტანეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის დახმარება არ დასჭირვებიათ...**

- ჰო, მაგრამ ტეტჩერმა მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა - არ დაიცვა ინგლისური კლუბები და უეფასგან მათ დასჯას მხარი დაუჭირა. ინგლისელთა პრობლემა ჭარბი ენერგიის სწორად განაწილება იყო, ჩვენი მთავარი პრობლემა კი ცარიელი სტადიონია.

**- თუ არა თამაშის ხარისხი, რა მიგაჩნიათ ამის მიზეზად?**

- ჩვენთან რესტორნებში საკმაოდ ბევრი ხალხი დადის. რესტორანში კაცი სულ მცირე 30 ლარი ჯდება, ეროვნული ჩემპიონატის თამაშზე წასვლას კი გაცილებით ნაკლები უნდა. ხალხი დადის თეატრშიც, მათ შორის, არცთუ ხარისხიან სპექტაკლებზე. თეატრის ბილეთი სტადიონისაზე გაცილებით ძვირია. მაშ, რაშია საქმე? რითი უნდა იყოს ფეხბურთზე წასვლა განსაკუთრებული? როცა სტადიონზე მიდიხარ, დეინდივიდუალიზაციის წინაშე აღმოჩნდები, უკვე აღარ ხარ კონკრეტული ადამიანი, მასის ნაწილი ხდები, თამაშის შემდეგ კი გამოდიხარ დეინდივიდუალიზაციიდან და ისევ ინდივიდი ხდები. ასეთი რამ ვერ მოხდება ვერც რესტორანში და ვერც თეატრში. ესეც რომ არა, გულშემატკივრობით გამოწვეული მღელვარება გულს ავარჯიშებს, თავისებური პროფილაქტიკაა ინფარქტისგან თავის დასაცავად. მოკლედ, სტადიონი და ფეხბურთი სულ სხვაა...

**- ქართული ბეჭდვითი მედია და ტელევიზია - მოგწონთ მისი საქმიანობა ფეხბურთში? საფეხბურთო სისტემისა თუ კულტურის შექმნაში მასმედიას ხომ განსაკუთრებული როლი ეკისრება.**

- გაზეთებში ხანდახან წააწყდები გონიერ სტატიას, გესიამოვნება, როცა ჟურნალისტი ამჩნევს რაღაც მოვლენას, თუმცა დასანანია, როცა რაღაცას ჟურნალისტი უფრო კარგად ამჩნევს, ვიდრე ის ხალხი, ვინც მოედანზეა. რაც შეეხება ჩვენს სატელევიზიო სპორტულ გადაცემებს, არ მომწონს. არც ერთი ქართველი ტელეკომენტატორი არ მომწონებია. ეროსი მანჯგალაძე რადიოკომენტატორობაში იყო გენიოსი, კოტე მახარაძე კი დიდი არტისტი იყო, მისი რეპორტაჟი ერთი მსახიობის თეატრს მოგვაგონებდა, წმინდა საფეხბურთო ასპექტში კი მაინც უფრო გულშემატკივრის პოზიციიდან გვევლინებოდა.

ძალიან მომწონს ფრანგული კომენტატორობის სტილი. თამაში ორ ან სამ კომენტატორს მიჰყავს, რომელთაგან ერთი აუცილებლად ექსპერტია და არა ჟურნალისტი. ვფიქრობ, საფეხბურთო მატჩის კომენტატორობას სოლო არ უხდება, საქართველოში კი თითქმის სულ ასეა. 1964 წელს ტაშკენტის მატჩის რადიორეპორტაჟი მანჯგალაძემ და მახარაძემ ერთად წაიყვანეს და ძალიან კარგი გამოვიდა.

ფრანგები გუნდების სტრატეგიას განიხილავენ, პროგნოზს აკეთებენ და ყველაფერი ისე მიჰყავთ, რომ მატჩის სიუჟეტი დეტექტივს ემსგავსება. ისინი ამას თავისუფლად, გემოვნებით აკეთებენ, არ აქვთ ექსპერტის მორიდება. ისინი არ ლაპარაკობენ ბევრს სტატისტიკაზე - ვინც სტატისტიკაზე აკეთებს აქცენტს, მან არ იცის, რა ხდება მოედანზე.

ვფიქრობ, რაც არის, ეს ჩვენი ტელეკომენტატორების ბრალი არ უნდა იყოს. მათ წინსვლაზე ტელეკომპანიების მფლობელებმა უნდა იზრუნონ, მათ განვითარებაზე ფული უნდა დახარჯონ.

ვიცნობ რუს კომენტატორ ვასილი უტკინს. ერთხელ თვითმფრინავში ვიმგზავრეთ ერთად და დაახლოებით ათი საათი ვისაუბრეთ ფეხბურთზე. ის ესპანური ფეხბურთისა და „ბარსელონის" გულშემატკივარია, იმდენი ცოდნა აქვს, ესპანური მუსიკის და ცეკვის ექსპერტადაც კი გამოდგება. ჟურნალისტისთვის მაღალი ანაზღაურება აუცილებელია, სხვანაირად მას სოციალური ცხოვრება ვერ ექნება და შესაბამისად, ვერ იქნება კარგი ჟურნალისტი.

**- დაახლოებით მივხვდი, რისი თქმაც გსურთ - საქართველოში შესაძლებელია, გიყვარდეს „ბარსელონა" და არ იცოდე, ვინ არის ანტონი გაუდი...**

- დიახ, თუ „ბარსელონის" ფანი ხარ, წარმოუდგენელია, არ იცოდე, ვინ არის გაუდი. ისე, ყველამ უნდა იცოდეს, ვინ იყო გაუდი.

**- ბოლო კითხვაც, ოღონდ არასაფეხბურთო - მიგაჩნიათ, რომ საქართველოს დასავლეთისგან ძალიან დიდი მხარდაჭერა ექნება?**

- საქართველო მარტო აღარ დარჩება. რუსეთ-საქართველოს დაპირისპირება რაღაცით მგლისა და კრავის იგავს წააგავს. საქართველოში შემოჭრილ რუსულ ტანკებს იარაღის ნაცვლად ტრანსპარანტებით და მანიფესტაციებით შევხვდით, ისე, როგორც ეს 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში მოხდა. ჯერ არცთუ კარგი ევროპელები ვართ, მაგრამ მსოფლიოს დავანახვეთ, რომ მაინც ევროპელები გამოვდექით.

დავით თავართქილაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

დორტმუნდი. ტრანსფერი

# დედეს ლი შეცვლის

## სამხრეთკორეელმა ბორუსიასთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა

როგორც იცით, ბუნდესლიგის პირველ ტურში დორტმუნდის „ბორუსიის“ მარცხენა მცველმა **დედემ** უმძიმესი ტრავმა მიიღო. ბრაზილიელმა ოთხთვიანი შვებულება გამოიწერა. ვესტფალიელებმა დედეს შემცვლელის ძებნა დაიწყეს და მიაგნეს კიდეც. „ბორუსიამ“ „ტოტენჰემის“ კორეელი ლეგიონერი, 31 წლის **იან პიო ლი** გადაიბირა. ამ უკანასკნელმა „შავ-ყვითლებთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მხარეებს სატრანსფერო თანხა არ გაუხმაურებიათ. ლი „ბორუსიაში“ მესამე ნომრით ითამაშებს. მან ლონდონში სამი წელი გაატარა. ის პრემიერლიგაში 2005 წელს, "ეინდჰოვენიდან" გადავიდა. ხუანდე რამოსი ლის არ სწყალობდა. ამიტომ გასულ სეზონში, ფაქტობრივად, არ უთამაშია. ახლა კი შანსი ეძლევა, თავისი შესაძლებლობები დორტმუნდში დაამტკიცოს. იან პიო ლის, დაცვის მარცხენა ფლანგის გარდა, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზეც შეუძლია თამაში.

**გოტფრიდ ლენცი**



დედეს შემცვლელი იან პიო ლი

## რაიტ-ფილიპსი სიტიში დაბრუნდა

**შონ რაიტ-ფილიპსი** "მანჩესტერ სიტიში" დაბრუნდა. ეს გარიგება რამდენიმე დღის წინ დააანონსეს. მხარეებმა შეთანხმებას გუშინ მოაწერეს ხელი. რაიტ-ფილიპსი "სიტიში" ოთხ სეზონს გაატარებს. ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა. შონი ლონდონურ გრანდში 2005 წლის ზაფხულში გაიყიდა. მანჩესტერელებმა 21 მილიონი გირვანქა მიითვალეს. განვლილი სამი წლის განმავლობაში ფეხბურთელმა "ჩელსის" ძირითადში მხოლოდ 43-ჯერ ითამაშა. როდესაც ყოფილი კლუბიდან დაუკავშირდნენ, მას დიდხანს აღარ უფიქრია, ბარგი ჩაალაგა და მანჩესტერს მიაშურა. რაიტ-ფილიპსს "პორტსმუთიც" ეპატიჟებოდა, მაგრამ "სიტიმ" უკეთესი პირობები შესთავაზა. შონს იმედი აქვს, რომ ამიერიდან სტაბილურად ითამაშებს და მისი სანაკრებო შანსებიც გაიზრდება.

## ევერტონის პირველი და უკანასკნელი?

"ევერტონმა" დანიელი მცველი **ლარს იაკობსენი** დაიმატა. 28 წლის ფეხბურთელმა შარშანდელი სეზონი "ნიურნბერგში" გაატარა. ივნისში თავისუფალი აგენტი გახდა და გუშინ საღამომდე უმუშევარი იყო. იაკობსენმა ლივერპულურ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მისი დებიუტი ამ უქმეებზე, "პორტსმუთთან" მატჩში უნდა შედგეს. **დევიდ მოიესს** დაცვის გაძლიერება სურდა. ტრავმების გამო, მას გამოუცდელი მოთამაშეების დაყენება უხდებოდა. "ევერტონის" ბოსი ზაფხულის ტრანსფერებისას ექვსი-შვიდი ფეხბურთელის შეძენას აპირებდა, მაგრამ აგვისტო ისე მიიწურა, რომ იაკობსენის გარდა, ვერავინ ჩაიგდო ხელში.

## რივალდო უზბეკეთში ითამაშებს

**რივალდომ** უზბეკეთს მიაშურა. ბრაზილიის ნაკრებისა და "ბარსელონის" ყოფილმა ნახევარმცველმა ადგილობრივ "ბუნიოდკორთან" გააფორმა კონტრაქტი. რივალდომ ბოლო ოთხი სეზონი საბერძნეთში გაატარა. თავდაპირველად ის "ოლიმპიაკოსში" თამაშობდა. გასულ ზაფხულს ხელფასის შემცირებაზე უარი განაცხადა და აეკ-ს მაიშურა. ამ გუნდთან კონტრაქტში მას ერთი წელი ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ უზბეკეთიდან ისეთი შეთავაზება მიიღო, რომ უარი ვერ თქვა. რივალდომ ფინანსური დეტალების გამხელა არ ისურვა. ერთი თვის წინ "ბუნიოდკორმა" **სამუელ ეტოოს** გადაბირებაც მოისურვა, მაგრამ კამერუნელმა ფორვარდმა ეგზოტიკურ შეთავაზებაზე უარი განაცხადა. რივალდოს ამბავი რომ სცოდნოდა, შეიძლება, დათანხმებოდა კიდეც.

## პოლონური სასჯელები

პოლონეთის ნაკრების სამ ფეხბურთელს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. 20 აგვისტოს, პოლონელებმა უკრაინასთან ამხანაგური თამაში გამართეს. ისინი მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ. ნამატჩევს, **არტურ ბორუცი, დარიუშ დუდკა** და **რადოსლავ მაჟევსკი** უგონოდ გამოთვრნენ. ნაკრების თავკაცმა **ლეო ბეენჰაკერმა** მათი უმკაცრესად დასჯა მოითხოვა. სამივე ბრალდებულმა უპასუხისმგებლო საქციელისათვის საჯაროდ მოიხადა ბოდიში, მაგრამ ჰოლანდიელი სპეციალისტისათვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ბორუცი, დუდკა და მაჟევსკი სექტემბერში დაგეგმილ ორ შესარჩევ მატჩს გამოტოვებენ. 6 სექტემბერს პოლონეთი სლოვენიას შეხვდება, ხოლო ოთხი დღის შემდეგ - სან მარინოს.

## ბაროში გალათასარაის დარჩა

ჩეხეთის ნაკრების თავდამსხმელმა **მილან ბაროშმა** "გალათასარაის" მიაშურა. "ლივერპულის" ყოფილი ფორვარდი სტამბოლურ გრანდში სამი წელი დარჩება. ბაროშმა შარშანდელი სეზონი "პორტსმუთში" გაატარა, თუმცა თავი ვერაფრით გამოიჩინა. ინგლისელებმა მასთან თანამშრომლობის გაგრძელება არ ისურვეს. ბაროშის სანაკრებო აქტივში 66 მატჩი და 32 გოლია.

განსაკუთრებული შემთხვევა

# ფულბეკი, მცველისაგან განსხვავებული ამპლუა

## არისტოკრატები ბრაზილიურ სტილში და მანჩესტერის ორი ბრაზილიელი იმედი

**ბრაზილიაში მცხოვრებმა ინგლისელმა ჟურნალისტმა ტიმ ვიკერიმ შესანიშნავი სტატია მიუძღვნა ფეხბურთში ისეთ სპეციფიკურ ამპლუას, რასაც თანამედროვე განაპირა მცველი ჰქვია. მიმოხილულია ამპლუის ევოლუცია, მისი გამოყენების ცალკეული ვარიანტები; ყურადღება გამახვილებულია "ჩელსის" ტაქტიკაში შეტანილ განსაკუთრებულ ცვლილებასა და "მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში მოთამაშე ულტრათანამედროვე დუეტზე. ჩვენი აზრით, ამ სტატიას ჩვენი ერთგული მკითხველიც სიამოვნებით გაეცნობა.**

რა უფრო ევალება განაპირა მცველს - შეტევა თუ დაცვა? კითხვა აქტუალურია და მასზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. წესით, სიტყვა "მცველი" ერთმნიშვნელოვნად უნდა მიუთითებდეს, რომ ჭეშმარიტებასთან მეორე პასუხი უფრო ახლოა, მაგრამ არა... ფეხბურთი ძალიან დინამიკური სპორტია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ევოლუციური პროცესები მუდმივად მიმდინარეობს, არამედ იმის გამოც, რომ ფეხბურთის უსაშველო პოპულარობის გამო, მისი აღქმა იმდენად მრავალფეროვანია, რამდენი გულშემატკივარიცაა მსოფლიოში.

წლების წინ ჩვენს კითხვაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო: განაპირა მცველი, პირველ რიგში, კარის უსაფრთხოებაზე იყო პასუხისმგებელი. იმხანად გუნდების უმრავლესობა შემდეგი სქემით თამაშობდა: 3-2-2-3. განაპირა მცველებს მოწინააღმდეგის განაპირა ფორვარდების შეჩერება ევალებოდათ, ხოლო სტოპერი მეტოქის ცენტრფორვარდზე იყო გადართული. თითქოს საიმედო განლაგებაა, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. მიზეზი, რის გამოც ამ განლაგებაზე უარი თქვეს, ბრაზილიელი თავდამსხმელები იყვნენ. დალახვროს ეშმაკმა, ბურთის ჯადოქრებს უსაშველოდ ნიჭიერი თავდამსხმელები ჰყავდათ. მაგალითისათვის 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **ადემირ დე გუია**, ანუ უბრალოდ ადემირი გავიხსენოთ. ის ისეთივე სწრაფი და მოუხელთებელი გახლდათ, როგორიც ელვა. ადემირი გასაოცრად მოძრავი ფეხბურთელი იყო, ერთნაირად ძლიერად ხმარობდა ორივე ფეხს და თავითაც ჩაქუჩივით ურტყამდა... ერთი სიტყვით, მის წინააღმდეგ ერთი მცველი ვერასდროს ვერაფერს გააწყობდა. საჭირო იყო რაიმეს მოფიქრება, რომ გუნდებს "ასეთებისგან" თავდაცვა ესწავლათ. გამოსავალი მალე მოიძებნა: დაცვის ცენტრში კიდევ ერთი ფეხბურთელი დახიეს უკან და თანაგუნდელების შეცდომების გამოსწორება დაავალეს. სწორედ მეოთხე მცველის გამოჩენამ გახადა აშკარა, რომ ამიერიდან განაპირა მცველებს შეეძლოთ შეტევაში მონაწილეობა – ელემენტარულად, მათ წინაშე მეტი სივრცე აღმოჩნდა, ცენტრალურ მცველს შეეძლო დროებით ფლანგზე გადმოსულიყო და შეტევაში წასული თანაგუნდელის ადგილი დროებით შეევსო. ამის წყალობით ფეხბურთი ბევრად უფრო მრავალფეროვანი გახდა. მოედანზე ოთხი მცველის გამოჩენის შემდეგ ნათელი გახდა, რომ საუკეთესო ფორვარდების გარდა, საუკეთესო განაპირა მცველებიც ბრაზილიელებს ჰყავდათ. მარცხნივ სასწაულებს სჩადიოდა **ნილტონ სანტოსი**, მარჯვნივ — **ჯალმა სანტოსი**.

სერ **ალფ რემსი** ფეხბურთელობის დროს თავად იყო ფლანგის მცველი. მას შემდეგ, რაც მწვრთნელობა დაიწყო, მუდმივად იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ გაეხადა მისი თანაამპლუელების თამაში უფრო ეფექტური. ჯერ კიდევ "იფსვიჩ თაუნის" მწვრთნელობისას, ის გარკვეულ ექსპერიმენტებს მიმართავდა ხოლმე. 1963 წელს ის ინგლისის ნაკრებში დანიშნეს და მუნდიალისათვის მომზადება დაავალეს. სერ ალფის განკარგულებაში საუკეთესო ინგლისელმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი. მას ახლა უფრო ადვილად შეეძლო საკუთარი იდეისათვის ხორცის შესხმა. 1966 წელს მისი ინგლისი კლასიკური 4-4-2 სისტემით გამოვიდა მოედანზე, სწორედ იმ სქემით, რომელიც ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა. მისი გათვლით, რაკი ფეხბურთის სამშობლოს მაღალი კლასის ვინგერები არ ჰყავდა, მათი ფუნქციები ფლანგის მცველებს უნდა შეეთავსებინათ. გარდა ამ სიახლისა, რემსის გუნდს ბრწყინვალებას მატებდა ორი ცენტრალური ნახევარმცველი – **ალან ბოლი** და **მარტინ პიტერსი**. ეს ფეხბურთელები, 90 წუთის განმავლობაში შეუსვენებლად მოძრაობდნენ, ცენტრიდან ფლანგებზე ინაცვლებდნენ და ქმნიდნენ საფრთხეს. რეგულარულად ჩადიოდნენ დაცვაში და იქაც უზარმაზარ სამუშაოს ასრულებდნენ. ისინი ხშირად აღმოჩნდებოდნენ მეტოქის საჯარიმოში, რათა ფორვარდისათვის უკეთესი საგოლე მომენტი შეექმნათ. რემსის ჩანაფიქრმა შედეგი გამოიღო. მისი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. 1970 წელს ინგლისელთა თავკაცი კიდევ უფრო შორს წავიდა და ორი გამოკვეთილად შემტევი განაპირა მცველით თამაში გადაწყვიტა. მარცხნივ მოქმედებდა **ტერი კუპერი**, ხოლო მარჯვნივ – **კიტ ნიუტონი**. მათ მეტოქის საჯარიმომდე ბურთის ჩატანა და ჩაწოდება ევალებოდათ. სქემა მუშაობდა მუნდიალის მეოთხედფინალამდე, იქამდე, ვიდრე ინგლისელები **ჰელმუტ შიონის** გერმანიას არ გადაეყარნენ. აღნიშნულ შეხვედრაში კიტ კუპერმა ორი რეიდისა და ჩაწოდებების წყალობით, თავისი გუნდი 2:0 დააწინაურა. ინგლისელებმა მეტი ველარ შეძლეს, მეტოქეს ჯერ ანგარიში გაათანაბრებინეს და მერე წააგეს. მომდევნო წლებში, ინგლისის ნაკრების განაპირა მცველებს ძირითადად ისევ დაცვითი ფუნქციების შესრულება დაევალათ.

თუ ვინმე ბრაზილიაში საფეხბურთო მატჩს დასწრებია, შენიშნავდა, რომ შემადგენლობის გამოცხადებისას, დიქტორი გამოყოფს ცენტრალურსა და განაპირა მცველებს, ნახევარმცველებსა და თავდამსხმელებს. ქვეყანაში, სადაც ფეხბურთი ყველაზე უკეთ ესმით, დიდი ხანია, მიხვდნენ, რომ ფლანგზე მოთამაშე მცველი ცალკე ამპლუაა. ფლანგის მცველები დღევანდელ ბრაზილიაში ზუსტად ისეთ სტილში თამაშობენ, როგორშიც თავის დროზე ინგლისის ნაკრების ვარსკვლავები, კუპერი და ნიუტონი.

ბრაზილიელ განაპირა მცველებს შეტევაში ადრინდელზე მეტი პასუხისმგებლობა აკისრიათ. ნახევარმცველები მოედნის ცენტრში საკმაოდ ვიწროდ არიან განლაგებულნი. ისინი ფლანგებზე ცარიელ დერეფნებს ტოვებენ, რათა ეს სივრცეები ფლანგის მცველებმა გამოიყენონ.

სამი წლის წინ "მანჩესტერ იუნაიტედმა" ორ ბრაზილიელ განაპირა მცველს დაადგა თვალი - ტყუპებს, **ფაბიოსა** და **რაფაელს**, რომელთაგან ერთი მარცხნივ, ხოლო მეორე მარჯვნივ თამაშობდა. ყმაწვილები "ფლუმინენსეში" ირიცხებოდნენ. მათ "ფლუს" ძირითადში ერთი მატჩიც კი არ ჰქონდათ ჩატარებული. ამის მიუხედავად, "ეშმაკებმა" დაუყოვნებლივ გადაწყვიტეს ამ ბიჭების ინგლისში წაყვანა. ისინი რომ ბრაზილიაში დარჩენილიყვნენ, პროფესიული ზრდა გაუჭირდებოდათ. "იუნაიტედს" კი განზრახული აქვს, ისინი უნივერსალურ განაპირა მცველებად გაზარდოს.

"ნიუკასლთან" პირველი ტურის მატჩში, რაფაელი თამაშის მიწურულს გამოიყვანეს. უცნაური ის იყო, რომ რაფაელის დებიუტი ფაბიოზე ადრე შედგა. ბრაზილიაში ყოფნისას, ექსპერტები ამ უკანასკნელს უფრო დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ახალგაზრდულ გუნდებში ფაბიო უკეთ ასპარეზობდა ხოლმე. იქნებ ფაბიოს გაუჭირდა იმის გათავისება, თუ რას ნიშნავს ფულბეკი ინგლისური გაგებით?

რა განსხვავებაა ბრაზილიელ და ინგლისელ ფულბეკს შორის? ამ განსხვავების ნათელსაყოფად შარშანდელი და წლევანდელი "ჩელსის" შედარებაც საკმარისია. მოგეხსენებათ, **ეშლი კოულისათვის** შეტევებში ჩართვა უცხო ხილი არ არის. მაგრამ **ჟოზე მოურინიოს** დროს მას უფრო მეტად კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა ევალებოდა. მოურინიოს აზრით, თამაშის ბედი იმ ეპიზოდებში წყდება, როდესაც ბურთი ერთი გუნდისაგან მეორის ხელში გადადის. სწრაფი შეტევა მეტოქის კართან მიახლოების საუკეთესო საშუალებაა, დაცვის სწრაფად ორგანიზება კი - თავდაცვისთვის საუკეთესო გამოსავალი. მოურინიოს "ჩელსიში" მცველები ერთმანეთთან ახლოს იდგნენ. კოული, რომელმაც "არსენალში" ყოფნისას, შეტევებში ჩართვით გაითქვა სახელი, "სტემფორდ ბრიჯზე" ჩვეულ სტილში თამაშს მოკლებული იყო.

**ლუიშ ფელიპე სკოლარის** დროს "ჩელსიში" აქცენტები შეიცვლება. საამისო ნიშნები "პორტსმუთთან" პირველსავე ტურის შეხვედრაში გამოიკვეთა. ეშლი კოული და ახალწვეული **ჟოზე ბოსინგვა** შეტევაში აქტიურად ერთვებოდნენ. მათ გუნდის იერიშები არაერთხელ გაამწვავეს. იმ მატჩისას სკოლარიმ "არისტოკრატების" ფულბეკები ბრაზილიურ სტილში ათამაშა.

მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**



მანჩესტერ იუნაიტედის ორი იმედი, ბრაზილიელი თინეიჯერები ფაბიო და რაფაელ და სილვები


კლაუდიო პისარო

ინტერვიუ კლაუდიო პისაროსთან

# ვერდერის დაკარგული შვილი

## პერუელი ფიქრობს, რომ ვერდერს ჩემპიონობის რეალური შანსი აქვს

არსენალი

# ვენგერი: ლიგაში, აუღელვებლად

"არსენალი" ჩემპიონთა ლიგაში შეგრიალდა. "მეთოფეებმა" **სტივ მაკლარენის** "ტვენტეს" ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს და ორი მატჩის ჯამში, 6:0 ასიამოვნეს. **ვილიამ გალასს** იშვიათი დღე გაუთენდა. მან გოლი შეაგდო და ნაწილობრივ გამოისყიდა შეცდომა, რომელიც გასულ უქმეებზე, "ფულჰემთან" მატჩისას დაუშვა. ეს 52-ე წუთზე მოხდა. საგოლე იერიში ვილიამმა წამოიწყო და საჯარიმოში **ბენდტნერს** გაუკეთა გადაცემა. ნიკლასმა ბურთი მეკარე მიხაილოვს გაარტყა. გალასმა დაამატა და 2:0. მისი შეცდომის გამო ლონდონელებმა სამი ქულა დაკარგეს. ამჯერად, გალასი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. მან დაცვაში საიმედოდ ითამაშა და მეორე ტაიმში თავდამსხმელებსაც შეაშველა ხელი. "არსენალი" **სამირ ნასრიმ** დააწინაურა. თამაშის მიწურულს, **თეო უოლკოტმა** და ნიკლას ბენდტნერმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს.

**არსენ ვენგერის** შეგირდებმა სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარეს. გუნდი გამოცოცხლებული ჩანდა. "ფულჰემთან" წაგების გამო, "მეთოფეების" თავკაცმა **ემანუელ ადებაიორი**, **კოლო ტურე** და **ემანუელ ებუე** სკამზე დასვა. ებუე გამოჯანმრთელებულმა **ფრანსესკ ფაბრეგასმა** შეცვალა. ესპანელმა ვარსკვლავმა ევროპის ჩემპიონატის ფინალის შემდეგ პირველი მატჩი ჩაატარა.

თამაში **რობინ ვან პერსის** შეტევით დაიწყო. მან ბურთი დაბალ კუთხეში გაგზავნა. მეკარე **ნიკოლაი მიხაილოვმა** იერიში უკუაგდო. რამდენიმე წუთში ვან პერსის უკეთესი შანსი მიეცა. ფაბრეგასმა გამოზომილი პასით ის მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. რობინმა ძლიერად დაარტყა. ბურთმა ხარიხას გადაუფრინა. ანგარიში 27-ე წუთზე გაიხსნა. ვან პერსი ბურთს მეტოქის საჯარიმოს ხაზთან დაეუფლა და ნასრის გაუგორა. სამირმა მეტოქის ორი მცველი მოატყუა და დაბალ კუთხეში გაიტანა.

"არსენალს" ფაბრეგასის დაბრუნება ძალიან მოუხდა. ესპანელმა ნიკლას ბენდტნერიც ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ დანიელმა წაიბორძიკა და ვერ დაარტყა. ამას ვან პერსის მორიგი შეცდომა მოჰყვა. უოლკოტმა ფლანგზე ჩაირბინა და ბურთი ჰოლანდიელს გადააწოდა. რობინი, ფაქტობრივად, ცარიელი კარის წინ იდგა, მაგრამ ააცილა.

საინტერესო დეტალი: როდესაც მაკლარენი "არსენალს" უკანასკნელად ეწვია, „მიდლსბროს" მთავარი მწვრთნელი იყო. მისმა გუნდმა კი, 2006 წლის გაზაფხულზე, შვიდი უპასუხო გოლი მიიღო. ამჯერად, ლონდონელებს შვიდი გოლი აღარ გაუტანიათ, მაგრამ მაკლარენის შეგირდები მაინც სანიმუშოდ დაიბრიყვეს. დასასრულს გეტყვით, რომ უოლკოტის გოლისას, ასისტენტობა ბენდტნერმა ითავა, ხოლო ნიკლასის გოლისას, ბოლო პასი **დენილსონმა** ჩაიწერა აქტივში.

ატლეტიკო

# აგუერომ მარადონა ასახელა

## მალე სერხიო და ჯანინა დონ დიეგოს შვილიშვილს აჩუქებენ

მადრიდის "ატლეტიკო" ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნდა. მან ეს გელზენკირხენის "შალკეს" გაცამტვერებით მოახერხა. ესპანელებმა მეტოქეს ორი მატჩის ჯამში 4:1 მოუგეს. მადრიდული მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი **სერხიო აგუერო** იყო. არგენტინელმა თავდამსხმელმა სულ რაღაც ერთი კვირის წინ ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ("ალბისელესტემ" ფინალში ნიგერია მინიმალური ანგარიშით დაამარცხა, თუმცა იქამდე, ნახევარფინალში, ბრაზილიას სამი უპასუხო გოლი გაუტანა). აგუერო ესპანეთში ახლახან დაბრუნდა. მან ალბათ დასვენება და ძალების მოკრებაც კი ვერ მოასწრო. მიმომხილველები ვარაუდობდნენ, რომ სერხიო "შალკესთან" მატჩს გამოტოვებდა, მაგრამ "ატლეტიკოს" თავკაცმა **ხავიერ აგირემ** ის ძირითად შემადგენლობაში ათამაშა. მწვრთნელის გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ფეხბურთელთან მოთათბირება. აგუერომ დაარწმუნა დამრიგებელი, რომ დაღლილი არ იყო და თამაში სურდა. აგირე სერხიოს მონდომებამ ძალიან გაახარა. სენიორ ხავიერმა გარისკა და სასურველი შედეგიც მიიღო.

მე-19 წუთზე ანგარიში სწორედ სერხიო აგუერომ გახსნა. შეტევა **დიეგო ფორლანმა** წამოიწყო. "შალკეს" მეკარემ, **მათიას შობერმა** მისი დარტყმა გაჭირვებით მოიგერია. აგუერო ბურთთან პირველი გაჩნდა და ეფექტური დარტყმით გოლი შეაგდო. აგუეროსა და ფორლანის დუეტმა გერმანელებს უთვალავი თავსატეხი გაუჩინა. შობერსა და მის მცველებს საქმე არ ელეოდათ. მეორე ტაიმის დასაწყისში "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილმა თავდამსხმელმა ანგარიში ორამდე გაზარდა. ვინ იყო საგოლე პასის ავტორი? რასაკვირველია, აგუერო. ფორლანს ისღა დარჩენოდა, ბურთისათვის მიმართულება შეეცვალა.

გერმანელებმა თამაშში გარდატეხის შეტანა სცადეს. მათ პირველი მატჩი მინიმალური ანგარიშით ჰქონდათ მოგებული. ერთი გოლის გატანაც კი საკმარისი იქნებოდა ლიგაში გასასვლელად. მაგრამ "ატლეტიკომ" ტემპს მოუმატა და თამაშის მიწურულს კიდევ ორჯერ აილო მეტოქის კარი. ჯერ 82-ე წუთზე ფორლანის ნაცვლად გამოსულმა **ლუის გარსიამ** გაიტანა, 87-ეზე კი **მაქსი როდრიგესმა** პენალტით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. არბიტრმა უხეში თამაშისათვის შალკელ **კრისტიან პანდერს** წითელი ბარათი აუფრიალა.

დასასრულს, იმასაც გეტყვით, რომ "ვისენტე კალდერონზე", საპატიო სტუმრების ლოჟაში თვით **დიეგო მარადონა** იჯდა. მან თამაშით ძალიან ისიამოვნა. დიეგოს მხარს უმშვენება მისი შვილი **ჯანინა**, რომელიც, სხვათა შორის, სერხიო აგუეროს მეგობარი გოგონაა და შვილს ელოდება. თამაშის დაწყებამდე სტადიონზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს იმ 154 ადამიანის ხსოვნას, რომელიც მადრიდის აეროპორტში მომხდარ ავიაკატასტროფას შეეწირა.




სერხიო აგუეროს გერმანელთა კარში გატანილ გოლს ულოცავენ

ფული და ფეხბურთი

# გერმანია იტალიას ეცილება

## ინგლისური ლიგა უმდიდრესთა შორის უმდიდრესია

გერმანული ბუნდესლიგა, შესაძლოა, მსოფლიოს მეორე უმდიდრესი ლიგა გახდეს. ცოტაც და ის უკან ჩამოიტოვებს იტალიის სერია A-ს. ერთ დროს, არცთუ ისე შორეულ წარსულში, იტალიელებს ტოლი არ ჰყავდათ, მაგრამ მათ ჯერ ინგლისელებმა გადაუსწრეს, ახლა კი მეორე ადგილში გერმანელები ეცილებიან.

2008-09 წლების სეზონში იტალიური ლიგის შემოსავალი 1.43 მილიარდი ევრო იქნება. ამ ინფორმაციას ბიზნესის კვლევის კომპანია "სტეიჯ აფი" (StageUp) ავრცელებს. ესაა მეორე უმსხვილესი შემოსავალი ინგლისის პრემიერლიგის შემდეგ. ინგლისი 2.4 მილიარდიანი შემოსავლით უსიტყვო ფავორიტია. გერმანიის საფეხბურთო ლიგის შემოსავალი იტალიისას სულ რაღაც 10 მილიონით ჩამორჩება. თუ ჩემპიონთა ლიგაში ან უეფას თასზე გერმანელები იტალიელებზე უკეთეს შედეგს აჩვენებენ, ბუნდესლიგა მეორე ადგილზე გადავა.

შემოსავლის უმეტესი ნაწილი ტელე და სპონსორულ კონტრაქტებზე მოდის. სოლიდური თანხები მოაქვს ბილეთების რეალიზაციას, საავტორო უფლებებსა და რეკლამას. იტალიაში სტადიონების უმეტესობას განახლება სჭირდება. რეკონსტრუქციისათვის ინვესტიციებია საჭირო. ინვესტორები კი იტალიურ ფეხბურთში ფულის ჩადებას ერიდებიან. კლუბები სატელევიზიო კონტრაქტებით მიღებული ფულის განაწილებაზეც ვერ თანხმდებიან. ზოგიერთმა მიმომხილველმა ისიც კი თქვა, ჩემპიონატის დაწყება, შეიძლება გაურკვეველი დროით გადაიდოსო.

"სტეიჯ აფის" ანალიტიკოსების აზრით, თუ იტალიას სურს, რომ ინგლისს დაეწიოს და გერმანიის წინსვლა შეაჩეროს, სტადიონების რეკონსტრუქციისათვის ფული არ უნდა დაიშუროს. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა დასწრებას გაზრდის. ბოლო წლებში, იტალიურ ფეხბურთს ყველაზე მეტად დასწრების პრობლემა აწუხებს. დამატებითი შემოსავლის წყაროა სტადიონების სახელის გაყიდვაც, თუმცა ამ პრაქტიკით, ინგლისისა და გერმანიისაგან განსხვავებით, იტალიაში არავის სარგებლობს.

გერმანიის ბუნდესლიგა მსოფლიოს ყველაზე მომგებიანი საფეხბურთო ტურნირია. მისი შემოსავალი ხარჯებს 18 პროცენტით აღემატება. გერმანელებმა ამ წარმატებას იმით მიაღწიეს, რომ სახელფასო სისტემაზე კონტროლი არ დაუკარგავთ. ბუნდესლიგაში ყველაზე მაღალ ხელფასებს არ იხდიან, მაგრამ ჩემპიონატი არც ვარსკვლავების ნაკლებობას უჩივის და არც საზოგადოების ინტერესს. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ის საუკეთესო მდგომარეობაშია. ამის მიზეზი ორი წლისწინანდელი მსოფლიოს ჩემპიონატია. მუნდიალის წინ, გერმანული სტადიონების ერთი ნაწილი საფუძვლიანად გაარემონტეს, მეორე კი სულაც თავიდან აშენდა.

უმდიდრესი ლიგების სიაში მეოთხე ადგილი ესპანეთს უჭირავს. ტელეკონტრაქტებით მიღებული შემოსავლის ლომის წილი "რეალსა" და "ბარსელონას" ერიცხება, რადგან უცხოურ ქვეყნებში სწორედ ამ გუნდების თამაშებზეა ყველაზე დიდი მოთხოვნა.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოლიმპიური ცეცხლის ნაკვალევზე

# შთაბეჭდილებები და ნომინაციები

**ოლიმპიური ჩირაღდანი სულ რამდენიმე დღის ჩამქრალია, ჩემპიონები უკვე დაუბრუნდნენ სამშობლოს, ქართული სპორტის ისტორიაში მორიგი წარმატებული ფურცელიც ჩაიწერა ოქროს ასოებით, თუმცა ოლიმპიური ვნებათაღელვა მაინც გრძელდება. შევეცდებით, იმ დაუვიწყარი 16 დღის ჩვენეული შთაბეჭდილებები გაგიზიაროთ..**

## ჩამწარებული ფეირვერკები

თქმა არ უნდა, ყველაზე მეტად ომის ქარტეხილმა ცხინვალის რეგიონისა და გორის მოსახლეობაზე გადაიარა, თუმცა ჩვენი, ოლიმპიური დელეგაციის წევრების (სპორტსმენები, ოფიციალური პირები, ჟურნალისტები და გულშემატკივრები) მდგომარეობაც გასაგებია – სამშობლოდან 7 ათასი კილომეტრით მოწყვეტილებს არ გვქონდა ინფორმაცია, რა ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში, როგორ იყვნენ ახლობლები, ნათესავები. წარმოიდგინეთ, ამის გამო სპორტსმენები კიდევ უფრო სავალალო დღეში იყვნენ, რომელთაც, წესით, მომავალ ორთაბრძოლებზე უნდა ეფიქრათ. ქართველები, განსაკუთრებით ოლიმპიადის პირველ დღეებში, სრულიად უცხოებად ვგრძნობდით თავს საერთო-სახალხო ზეიმში. კი არ დავდიოდით, დავლასლასებდით. განსაკუთრებით მძიმე გახსნის ულამაზეს ცერემონიაზე ყოფნა იყო, როცა, ჩვენდა უნებურად, ბრჭყვიალა ფეიერვერკები საქართველოს ქალაქების თავზე ჩამოგდებულ ბომბებად გველანდებოდა. გარდამტეხ დღედ 13 აგვისტო იქცა, როდესაც საათზე ნაკლებ ინტერვალში **მანუჩარ კვირკველიამ** და **ირაკლი ცირეკიძემ** საქართველოს ოქროს მედლები მოუპოვეს. რომ არა ეს დღე, ალბათ, გაგვიჭირდებოდა ბოლომდე დარჩენა და შესაძლებელი რომ ყოფილიყო, პეკინსაც დავტოვებდით, სადაც აშკარად ვაფუჭებდით საერთო განწყობილებას. მოკლედ, ქართული სპორტის ისტორიაში ისტორიულმა დღემ (პირველად, საქართველომ ერთ დღეში ორი ოქროს მედალი მოიგო) გადაგვარჩინა და დაგვარჩინა, თუმცა ქვეყანაში შექმნილი ვითარება და ოკუპანტთა თარეში ბოლომდე უსიამოვნო წითელ ზოლად გაჰყვა ქართული დელეგაციის პეკინურ თავგადასავალს. სწორედ ამიტომაც ვერ შეატყობდით პოდიუმზე მდგომ ოლიმპიურ ჩემპიონ მანუჩარ კვირკველიას უდიდეს სიხარულს, რომელსაც ის გულში განიცდიდა.

## სტოპ, რაშა!

სპორტულ დარბაზებამდე ვერაფრით შევაღწიეთ, მაგრამ არ შეიძლება არაფერი ვთქვათ იქაურ ატმოსფეროზე. მთელი დღეების განმავლობაში ქართველები ყურადღების ცენტრში ვიყავით, დღეში საშუალოდ 4-5 ინტერვიუს მიცემა მაინც გვიწევდა უცხოური პრესისა თუ ტელევიზიებისათვის. ჩვენს სპორტსმენებზე ხომ საერთოდ ნადირობა იყო გამოცხადებული, თუმცა ეს სამყარო უცხოელ ჟურნალისტთათვის ხშირად მიუწვდომელი და ჩაკეტილი იყო.

ერთ დღეს ჩინეთში მყოფმა ქართველებმა რუსეთის საელჩოსთან საპროტესტო აქცია მოვაწყვეთ. მაშინ დიდი ხნის პაუზის შემდეგ პირველად ვიგრძენით საბჭოური სისტემის სუსხი. პირველად ამას ყბამოქცეული ჩინელების სახეების დანახვაზე მივხვდით - თუნდაც დროებით ქუჩის გადაკეტვა, დროშების ფრიალი და შეძახილები, რალაც თავხედურ გამოწვევას ჰგავდა მათთვის. კარგად ჩანდა, რომ ამგვარი სანახაობებით პეკინში განებივრებულნი არ იყვნენ. მოკლედ, მაშინ დაჭერას გადავურჩით, თუმცა „ალრიცხვაზე" რომ აგვიყვანეს, ცხადი იყო. ყველაზე საინტერესო, ამ მოვლენიდან ათიოდე დღის მერე ჩინელ პოლიციელთა ვიზიტი იყო ჩვენთან. დილაუთენია, ზარის ხმამ გაგვაღვიძა, ორი ჩინელი პოლიციელი გვეწვია, რომელთაც ინგლისურად ერთი სიტყვაც არ იცოდნენ. საბუთები ვუჩვენეთ, მაგრამ ხელების შლა განაგრძეს, ბოლოს კი ტელეფონით ვილაც გამოიძახეს. ეს „ვილაც" თარჯიმანი აღმოჩნდა. „რას ფიქრობთ, რუსეთ-საქართველოს შორის განვითარებულ მოვლენებზე?", „პეკინში ყოფნისას რაიმეს ხომ არ აპირებთ რუსეთის საწინააღმდეგოდ?", „რუსეთის საელჩოსთან მისვლას ხომ არ გეგმავთ?", - დაგვაყარეს კითხვები.

კოლეგათა უდიდესი ნაწილი ჩვენ მიმართ სიმპათიებს არც მალავდა. ერთხელ უკრაინელთა საუბარს შევესწარით ავტობუსში - რუსულად რომ ვლაპარაკობთ, ქართველებს რუსები ვგონივართ და გვეუხერხულებაო. სხვათა შორის, თვით რუსი კოლეგებიც მორიდებულები იყვნენ, თითქოს გაურბოდნენ ჩვენთან შეხვედრას, თითქოს გრძნობდნენ თავიანთი ქვეყნის ხელმძღვანელების დანაშაულს. თუკი ქართველი და რუსი ხვდებოდა ერთმანეთს (ოლიმპიადაზე ეს სამჯერ მოხდა), რუსები არ გულშემატკივრობდნენ თავისიანებს, ჩუმად ისხდნენ და ასპარეზს გვითმობდნენ - მაშინ, როცა სხვა შემთხვევაში დარბაზებში „რასია, რასიას" გუგუნებდნენ.

## უკეთ, ვიდრე ათენში

ოლიმპიადა მსოფლიოს ყველაზე მასშტაბური ღონისძიებაა. მასთან ახლოს ვერაფერი მივა, ვერც გაეროს სხდომები და ვერც დავოსში პრეზიდენტთა შეხვედრები. სპორტული ასპარეზებობიდან მას კონკურენციას ვერაფერი უწევს, თვით მსოფლიო ჩემპიონატიც კი ფეხბურთში. სწორედ ამ უდიდეს ფერხულში ჩაება 35 ქართველი ათლეტი და 16 დღის განმავლობაში სხვებთან ერთად იბრძოდა მედლებისთვის. ჩვენებს წარმატებული ოლიმპიადა ჰქონდათ – 6 მედალი მოიპოვეს - სამ-სამი ოქროსა და ბრინჯაოსი. „უკეთ, ვიდრე ათენში" შესრულებულია! ქართველ სპორტსმენებს მუდამ თან ახლდა მცირერიცხოვანი, მაგრამ აქტიური ჯგუფის მხარდაჭერა, რომელსაც ჟურნალისტებიც ვუერთდებოდით. ნეიტრალური მაყურებელიც ხშირად ჩვენების მხარეს იყო, ეს განსაკუთრებით პლაჟბურთის კორტებზე იგრძნობოდა.

## ყველაზე, ყველაზე...

**საუკეთესო ქართველი ოლიმპიელი:** ნომინაციას სამ ჩვენებურს ვუნაწილებთ: მანუჩარ კვირკველიამ, ირაკლი ცირეკიძემ და **რევაზ მინდორაშვილმა** ეს ერთნაირად დაიმსახურეს. მანუჩარი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მოჭიდავე იყო პეკინში, რაც ფილას პრეზიდენტმა **რაფაელ მარტინეტიმაც** აღნიშნა, მან დაასრულა ქართველთა ოთხდღიანი წარუმატებელი სტარტი, ირაკლი ცირეკიძემ და რავაზ მინდორაშვილმა ოლიმპიური ოქრო გზად რუსი მეტოქის ჩამოცილებით გაილამაზეს.

**ეფექტური ჟესტი:** ირაკლი ცირეკიძემ ბეჭებზე გააკრა პუტინის საყვარელი ძიუდოისტი **პერშინი** და ზურგს უკან ორივე ცერა ქვემოთ დახარა – ეგეც თქვენ, რუსებოო!

**საუკეთესო მიმართვა:** ბრინჯაოს მედლის მოპოვებისთანავე **გიორგი გოგშელიძემ** უპირველესად შიდა ქართლის მოსახლეობას მიმართა და გაჭირვებაში მყოფებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. *„ქართველო დედებო და მამებო, ამ ძნელბედობის ჟამს მე თქვენთან ერთად ვარ. თვალწინ სულ თქვენი გასაჭირი მიდგას".*

**ეფექტური ფრაზა:** ავტორი, ჩვენი აზრით, **საქაა**, ქალ ფრენბურთელთა გუნდის ერთ-ერთი წევრი. მან დამარცხებული რუსი ფრენბურთელების რეპლიკას მოსწრებულად უპასუხა, რომელთაც დაიჩივლეს, ჩვენ ქართველებთან კი არა, ბრაზილიელებთან წავაგეთო. *"მე საქართველოს სახელით გამოვდივარ და თავს უკვე სრულფასოვან ქართველად მივიჩნევ. რამ გაამწარა ჩვენი ოპონენტები, არ ვიცი, მათ ხომ კარგად ითამაშეს".*

**თავშესაქცევი ფრაზა:** *„ხომ გეუბნებოდით მოვიგებ ოლიმპიადას-მეთქი, რომ არავის გჯეროდათ ჩემი"*, - ავტორი რევაზ მინდორაშვილი.

**ქართველი ოლიმპიელის სიმბოლო:** სწორედ, წარბგახეთქილ გიორგი გოგშელიძეს შეეფერება ეს "ტიტული", მებრძოლი ქართველი კაცისა, რომელსაც აკრძალული ხერხებით უშლიან ხელს მიზნის მიღწევაში, თუმცა ის მაინც ბოლომდე იბრძვის, ტკივილის მიუხედავად.

**გმირული ასპარეზობა:** ნეკნგატეხილი რევაზ მინდორაშვილი (ფინალში, სასწაულებრივად დაიძვრინა თავი, მას შემდეგ, რაც მეტოქეს ის ხელში ჰყავდა ატაცებული) და გიორგი გოგშელიძე (ცალი თვალით იჭიდავა და მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კუბელ ფალავანს აჯობა).

**სიურპრიზი:** ქართული დუეტი **გეორ-გია.** ჩვენს ბრაზილიელებს არავინ მიიჩნევდა ოლიმპიადის ფავორიტებად. მიუხედავად ამისა, მათ არათუ ჯგუფური ეტაპი დასძლიეს, არამედ, მერვედფინალური და მეოთხედფინალური მატჩებიც მოიგეს და საბოლოოდ მე-4 ადგილი დაიკავეს.

**იმედგაცრუება:** სამწუხაროდ, ის ჩვენი მედროშე **რამაზ ნოზაძე** გახლდათ. 2007 წლის საუკეთესო ქართველმა სპორტსმენმა პეკინში ვერაფერი გააწყო, თუმცა დაგვაიმედა, რომ 2012 წელს ლონდონში მისი ჯერი დადგება.

**აღმოჩენა: ლუბა გოლოვინა** - თუმცა, ის ისედაც მიიჩნეოდა პერსპექტიულ სპორტსმენად. საბოლოოდ, ლუბამ მეექვსე ადგილი დაიკავა, რაც საქართველოს საუკეთესო შედეგია ოლიმპიადებზე ბატუტზე ხტომაში .

**უიღბლო:** უდავოდ, **ზაზა კედელაშვილი**, რომელსაც ძალზე ცუდ დროს მოუწია ასპარეზობამ. წინა ღამით ოლიმპიურ სოფელში გვიანობამდე გაგრძელდა კრება, რომელზეც ჯერ ქართველთა მიერ ოლიმპიადის დატოვება გადაწყდა, შემდეგში კი ეს გადაწყვეტილება შეიცვალა. კედელაშვილს კი სულ რამდენიმე საათი რჩებოდა წონის დაკლებამდე. მას მთელი ღამე არ უძინია, საასპარეზოდ გამოფიტული გავიდა. კედელაშვილს ოლიმპიური იმედები მთლიანად საქართველოში შექმნილმა ვითარებამ შეიწირა.

**ენერგიული:** ალბათ, ამ ტიტულს კიდევ კარგა ხანს არავის დაუთმობს ექიმი **ზურა კახაბრიშვილი.** ძნელია, იპოვო კახაბრიშვილივით ენერგიული და ოპტიმისტი ადამიანი. იგი ხშირად ფსიქოლოგისა და მწვრთნელის ფუნქციასაც ითავსებდა. მოკლედ, ოლიმპიურ გუნდში შეუცვლელი კაცია.

**მოკრძალებული:** ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე. გულშემატკივრებს შეუძლიათ, წყნარად იყვნენ, მას ეს წარმატება "თავში არ აუვარდება". ალბათ, როცა ამ სტატიას ვწერთ, ირაკლი უკვე სავარჯიშო დარბაზისკენ მიემართება. რომ არა ცირეკიძე, ამ ნომინაციაში მოჭიდავე **ოთარ თუშიშვილი** გაიმარჯვებდა.

**კურიოზი:** სამშობლოში გამოფრენისას პეკინის აეროპორტში ტვირთები აგვირიეს, ბოლოს ყველა ჩანთა იპოვეს, ერთის გარდა – **მარიამ ქევხიშვილის** ბირთვები ვერსად აღმოაჩინეს. ბირთვებს მხოლოდ მეორე დღეს მიაგნეს.

**ქართველ სპორტსმენთა საყვარელი გასართობი ოლიმპიურ სოფელში:** ველოსიპედებით სეირნობა.

**ქართველ სპორტსმენთა საყვარელი გასართობი თვითმფრინავში:** კარტის თამაში.

**ქართული ოლიმპიური დელეგაციის წევრთა ყველაზე აქტუალური კითხვა:** რა ხდება საქართველოში, მშვიდობაა?

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# მეორე დღე წარუმატებელი აღმოჩნდა

ნორვეგიის ქალაქ კრისტიანსანდში მიმდინარე, მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპის მეორე საშეჯიბრო დღეს ქალთა შორის ქართულმა წყვილმა **საქა-რთველომ** პირველი მარცხი განიცადა. ჩვენი ფრენბურთელების მეტოქე ტურნირზე მეხუთე ნომრად განთესილი შვეიცარული დუეტი, დები შვაიგერები იყვნენ. სამწუხაროდ, საქა-რთველომ მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ორ სეტში დამარცხდა 17:21, 16:21.

მორიგ შეხვედრას საქა-რთველო დღეს ჰოლანდიელებთან **ვან იერსელთან** და **ვესელინკთან** გამართავს, რომლებიც შეჯიბრებაში მე-8 ნომრად არიან განთესილი. საქა-რთველოს ნაგების უფლება აღარ აქვს.

ასპარეზობას განაგრძობს ვაჟთა შორის **გეორ-გიაც.** ჩვენი ფრენბურთელები შეჯიბრებაში გუშინ ჩაერთვნენ და ორიდან ერთი შეხვედრა მოიგეს. თავდაპირველად ტურნირზე მე-2 ნომრად განთესილი ქართული წყვილი მე-13 ნომრად განთესილ იტალიურ დუეტთან ძმებ **მატეო** და **პაოლო ინგროსოებთან** დამარცხდა სამ სეტში 18:21, 21:14, 12:15.

მეორე შეხვედრაში მეტოქე მე-15 ნომერი, ჩეხი დუეტი **ტიჩი-ბენესი** იყო, რომლის დასაძლევადაც გეორ-გიას ორი სეტი ეყო 21:14, 22:20. მორიგ შეხვედრას ჩვენი ფრენბურთელები, დღეს მე-17 ნომრად განთესილ პოლონელების **ფიჯალეკისა** და **პრუდელის** წინააღმდეგ გამართავენ. ნაგების უფლება, საქა-რთველოს მსგავსად, აღარც გეორ-გიას აქვს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი. ლეგიონერები

# ფარულის ღია ლიდერი ისევ სამხარაძეა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე დივიზიონში მოასპარეზე ქართველი ლეგიონერების გუნდები, გათამაშების დაწყების წინ ბოლო საწვრთნელ შეხვედრებს მართავენ. შეგახსენებთ, რომ მეორე დივიზიონში, წლეულს, რვა გუნდში თერთმეტი ქართველი ითამაშებს.

თავისი ბოლო საკონტროლო მატჩში შერკინების ბურჯის, **დავით აშვეთიას** „ოიონაქსმა" შინ ფედერალ1-ში მოასპარეზე **ბესო უდესიანის** „შალონი" მიიღო და 32:10 დაამარცხა. „ოიონაქსის" მწვრთნელმა შეხვედრაში 28 მორაგბე გამოცადა. აშვეთია თამაშში მეორე ნახევრიდან ჩაერთო. უდესიანს მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

ისევ წააგო ამჯერად ინგლისურ „სეილ შარკსთან" **გურამ კავთიძის** „ლიონმა" 12:35. კავთიძეს არც ერთ შეხვედრაში არ მიუღია მონაწილეობა. ის ჯერჯერობით „ლიონის" ახალგაზრდულ გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

რუმინეთის შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატში მესამე ადგილის დაკავების შემდეგ პირველი საწვრთნელი შეხვედრა გამართა ქართველ მორაგბეთა გუნდმა კონსტანცას „ფარულმა". **ბიძინა სამხარაძის, კახაბერ უჩავას, გიორგი ხოსიტაშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა და ლაშა თავართქილაძის** გუნდმა შინ საფრანგეთის ლანგედოკის რეგიონის ნაკრები მიიღო და 30:16 დაამარცხა. სამი ლელოდან, რომელიც რუმინელებმა მეტოქეს გაუტანეს, ერთი საქართველოს ნაკრების ცხრა ნომრის - ბიძინა სამხარაძის ანგარიშზეა. ლანგედოკის რეგიონის წინააღმდეგ ყველა ქართველმა ითამაშა.



ბიძინა სამხარაძე

„ფარული" მომდევნო კვირაში კიდევ ერთ შეხვედრას გამართავს, რის შემდეგაც ამ გუნდის ექვსი მორაგბე, რუმინეთის ნაკრებთან ერთად ზელანდიურ ტურნეში გაემგზავრება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. ინტერვიუ რევაზ მინდორაშვილთან

# სიტყვის კაცი

**დარბაზში საქართველოს ეროვნული ჰიმნი ჟღერდა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მდგარი ფალავანი სახეგაბადრული მისჩერებოდა ხუთჯვრიან დროშას, რომელიც ნელ-ნელა მაღლა მიცურავდა...**

- გავაკეთე ის, რაც შემეძლო - სამშობლოს ოლიმპიური ოქროს მედალი მოვუტანე, - ეს სიტყვები კოლაგელმა **რევაზ მინდორაშვილმა** გუშინ რედაქციაში სტუმრობისას გვითხრა მას შემდეგ, რაც ჩემპიონობა მივულოცეთ და გარჯა შევუქეთ.

სათქმელად იოლია, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, ამ ერთი უბრალო წინადადების მიღმა რამდენი შრომა და საჭიდაო ხალიჩაზე დაღვრილი ოფლია.

სახელოვანი ფალავანია რევაზ მინდორაშვილი - მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ყველა სინჯის მედლის მფლობელი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი, რომელმაც თავისი მდიდარი სპორტული კოლექცია პეკინში ოლიმპიური ოქროთი გაიმდიდრა. წლების განმავლობაში იგი დასახული მიზნისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა. გზახერგილიც ბევრჯერ შეხვედრია, მაგრამ უკან არასდროს დაუხევია. ყოველთვის სწამდა, რომ ოცნებას აისრულებდა.

შარშან ბაქოს მსოფლიო ჩემპიონატზე აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე **ნოვრუზ ტებრეზოვთან** რომ წააგებინეს მსაჯებმა და ულიცენზიოდ დატოვეს, მისთვის იოტისოდენი გულგატეხილობაც არ შემიმჩნევია: ყველას დავუმტკიცებ, რომ ჩემი გზიდან ჩამოშორება ასე იოლი არ არისო - მითხრა.

მონდომებით ემზადებოდა ახალი სეზონისთვის. ბათუმში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე ნახევარფინალს უწია და შეჯიბრებას გამოეთიშა, რადგან ტრავმის გამიზეზებას მოერიდა, მერე კიევის საერთაშორისო ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა. ნელ-ნელა აღიდგინა სპორტული ფორმა.

- ტამპერეს ევროპის ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიადის თითო საგზური თამაშდებოდა, - იგონებს რევაზ მინდორაშვილი. - ყველაფერი ვიღონე, რათა ამ შეჯიბრებაზე მომეგვარებინა ლიცენზიის პრობლემა და შემდეგ მშვიდად გამეგრძელებინა ზაფხულის თამაშებისთვის მზადება. პირველ წრეში დავით ბიჩინაშვილს ვძლიე, შემდეგ - ესპანელ ხავიერ რამოსს, ბელარუს ივან იანკოვსკის, ებრაელ სერგეი კოლესნიკოვს და გადამწყვეტ პაექრობაში გიორგი კეტოევს, იგივე ქეთიშვილს, დავუპირისპირდი. გიორგიმ შარშან მსოფლიოს ჩემპიონობასთან ერთად პეკინის ლიცენზიაც დაიმსახურა, ამიტომ ფინალში გასვლით ოლიმპიადის საგზური დავიბევე. თავის მართლებად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ გადავწყვიტე, ტამპერეს ხალიჩაზე ჩემი შესაძლებლობები ბოლომდე არ გამომემჟღავნებინა. ვიფიქრე, უმჯობესია, გიორგი დარჩეს წონის მთავარ ფავორიტად, რათა მთელი ყურადღება მისკენ იყოს მიმართული, მე კი საჩემო საქმეს ისედაც გავაკეთებ-მეთქი.

ამას რომ ვამბობ, ისე არ გამიგოთ, თითქოს კეტოევის შესაძლებლობებს ვაკნინებდე. იგი იდეალური მოჭიდავეა. ფილამ შარშან სამართლიანად ცნო წლის საუკეთესო ფალავნად. ორწელიწად-ნახევარი შეხვედრა არ წაუგია. რუსეთის ნაკრებიდან სახელოვანი მოჭიდავე საჯიდ საჯიდოვი ამოაგდო. გიორგის ბევრი შერკინება მაქვს ნანახი. ოთხჯერ თავადაც შევხვედრივარ და მისი ორთაბრძოლის ძლიერი და სუსტი მხარეები დავამუღამე, რაც ოლიმპიადაზე გამომადგა.

თამაშებისთვის მზადება სპეციალური პროგრამით განვაგრძე. ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრებები გავიარეთ თბილისში, ნახკაძორში, ბორჯომში. ვიჭიდავე რუმინეთში იონ კორნეუანუს მემორიალურ ტურნირში, სადაც პირველი ადგილი დავიკავე. ეს გამარჯვება ჩემთვის აუცილებელი იყო, რათა საკუთარი ძალების რწმენა განმემტკიცებინა. ამ შეჯიბრებაზე გამოვცადე ტექნიკა-ტაქტიკის ყველა ის ნიუანსი, რომლებიც ვარჯიშებზე ბატონ მარლენ ოსიყმაშვილსა და ნაკრების მწვრთნელებთან ერთად დავამუშავე.

**- კინაღამ ყველაფერი წყალში ჩაგეყარა...**

- ბოლო შეკრებას ბორჯომში გავდიოდით, რუსეთმა საქართველოს კუთხეების დაბომბვა რომ დაიწყო. ნაადრევად შევწყვიტეთ წვრთნა. რადგანაც გორის გავლით წამოსვლა შეუძლებელი იყო, თბილისში შემოვლითი გზით 12-საათიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ ძლივს ჩამოვაღწიეთ. მეორე დილით კი კიევის გავლით პეკინში გავფრინდით. ჩინეთის დედაქალაქში მასმედიის საშუალებით საშინელ ინფორმაციებს ვიგებდით. თბილისში მეუღლე, ორი წლის ვაჟიშვილი, დედა და და დავტოვე. ოჯახის წევრებს პეკინიდან დავურეკე და ვთხოვე, კოლაგში წასულიყვნენ. მათ კი დედაქალაქი არ დაუტოვებიათ, რადგან საამისო სიტუაცია არ ყოფილა.

**- ჩინეთში აკლიმატიზაციის გავლა გაგიჭირდა?**

- 2006 წელს გუანჯოუს მსოფლიო ჩემპიონატისას და პეკინში ოლიმპიადის დღეებში იქაურ პირობებთან შეგუება არ გამჭირვებია. მეტიც - გაცილებით უკეთ ვგრძნობდი თავს. მონდომებით ვვარჯიშობდი და, შესაძლებლობის შემთხვევაში, ჩვენს სპორტსმენებს ვქომაგობდი. თავისუფალი სტილით მოჭიდავეები პეკინში რომ ჩავედით, საქართველოს დელეგაციას მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედალი ჰქონდა - ნინო სალუქვაძის მიერ მოპოვებული. 13 აგვისტოს-კი ერთბაშად ორი ფალავანი ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე - ოქროს ჯილდოები მანუჩარ კვირკველიამ და ირაკლი ცირეკიძემ დაიმსახურეს. განსაკუთრებით ირაკლის მიერ რუსი პერმინის დამარცხებამ გაგვახარა. ფინალში მანუჩარის ხუთქულიანმა გდებამ, ასე მგონია, მილიარდნახევრიანი ჩინეთი შეაზანზარა. ამ გამარჯვებებმა, დროებით, საქართველოზე რუსეთის აგრესიაც კი გადამავიწყა. ისე ვიყავი აღფრთოვანებული, ერთი სული მქონდა, თავად როდის გავიდოდი ხალიჩაზე საჭიდაოდ.

**- გავიგე, წილისყრის შემდეგ, ოლიმპიურ სოფელში ზოგიერთებს შენთვის მხოლოდ „ბრინჯაო" უწინასწარმეტყველებიათ. თავად რას ფიქრობდი ამ დროს?**

- არ ვიცი, ვინ რას ამბობდა, მე საკუთარი ძალების მჯეროდა და დარწმუნებული ვიყავი, პეკინში ოლიმპიურ ჩემპიონობას მოვიპოვებდი. სწორედ, ასპარეზობის წინადღეს ოლიმპიური გუნდის მთავარ ექიმ ზურაბ კახაბრიშვილს ვუთხარი - ხვალ ჩემპიონი გავხდები, ეს აქამდე მხოლოდ მე ვიცოდი და შენ იქნები მეორე, ვისაც ეს წინასწარ ეცოდინება-მეთქი...

**- ყველაზე რთული ორთაბრძოლა ვისთან გქონდა?**

- ვფიქრობ, არავისთან გამჭირვებია. დავით ბიჩინაშვილი, რომელმაც გერმანიის სახელით იასპარეზა, ცნობილი მოჭიდავეა. ამ შეჯიბრებისთვის კარგად მოემზადა, რაც ჩემთან შეხვედრის პირველ პერიოდშიც გამოჩნდა. მართალია, იგი 1:4 წავაგე, მაგრამ დანაკარგი მომდევნო ორ რაუნდში ავინაზღაურე. იოლად ვძლიე სომეხ არუთინ ენოქიანს. მთავარი მეტოქე ნახევარფინალში მყავდა, გიორგი კეტოევის სახით. ორივე პერიოდში სამი სამქულიანი გდება მოვახერხე, ხოლო გონგამდე 20 წამით ადრე სუფთა გამარჯვება მოვიპოვე.

**- ვინაიდან მედალი განაღდებული გქონდა, ფინალში ყურადღება ხომ არ მოადუნე?**

- მხოლოდ მედალზე რომ მეფიქრა, ჩემპიონი ვერ გავხდებოდი. ერთი მიზანი მამოძრავებდა - კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა. ამგვარი შემართებით გავედი ხალიჩაზე ფინალში საჭიდაოდ.

**- და გვარიანადაც გვანერვიულე...**

- აბდუსალიმოვი ძლიერი მოჭიდავეა. შარშან ბაქოს მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა. პირველსავე წუთზე ჰაერში კი ამიტაცა, მაგრამ დავუძვერი და ქულაც დავიმსახურე. მერე ჩოქბჯენში გამოვიჭირე ტაჯიკი მოჭიდავე და დატრიალება ვცადე, მაგრამ ფანდი ბოლომდე ვერ მივიყვანე, რადგან დილით მოთელვისას ნეკნი დავიზიანე. ილეთის ჩატარებისას საშინელი ტკივილი ვიგრძენი. მეტოქემ ამით ისარგებლა და პირველი რაუნდი მომიგო. მეორე-მესამე პერიოდებში მისთვის წარმატების იოტისოდენი შანსიც არ მიმიცია - 3:0 და 4:0 ვაჯობე, ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი და რუსებისგან დაბომბილ ჩემს სამშობლოს სიხარული მოვუტანე.

მართალია, იმწუთას, როცა კვარცხლბეკზე მდგარი, ეროვნულ ჰიმნს ვუსმენდი და ხუთჯვრიანი დროშის ფრიალს ვუყურებდი, უაღრესად ბედნიერი ვიყავი, მაგრამ ეს არ იყო ისეთი სიხარული, რომელიც სხვა დროს განმიცდია, რადგან ვიცოდი, რომ საქართველოში ჯერ კიდევ თარეშობდნენ რუსი აგრესორები.

მჯერა, ქართველი ხალხი ყველაფერს გმირულად გადაიტანს და ქვეყანაც შვებით ამოისუნთქავს.

**- ოლიმპიური ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი სამომავლოდ რას აპირებს?**

- ჯერ ვისვენებ, დანარჩენი მერე გამოჩნდება.

**ვაჟა დანელია**



მინდორაშვილისა და კეტოევის შეხვედრის მომენტი


გუშინ ლელოს რედაქციაში

## ანონსი

„ლელოს" ხვალინდელ ნომერში რუბრიკით პეკინი 2008. ჟამი ფიქრისა და განსჯისა შემოგთავაზებთ ინტერვიუს საქართველოს პარლამენტის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ოლიმპიურ ჩემპიონ გიორგი ასანიძესთან

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილი ნახევარფინალშია

27 წლის **ირაკლი ლაბაძემ** ყაზახეთის ქალაქ ალმათიში „სამხრეთ დედაქალაქის თასზე" (35 ათასი დოლარი) ასპარეზობა დაასრულა. მეორე წრეში, ანუ მერვედფინალში, ქართველ ჩოგბურთელს მე-8 ნომრად განთესილმა გერმანელმა **ალექსანდერ ფლოკმა** მოუგო – 2:6, 4:6. ჩვენი თანამემამულე წყვილთა თანრიგშიც ასპარეზობდა, სადაც ის რუმინელ **პეტრუ ლუნკანუსთან** ერთად გამოდიოდა. ლაბაძემ და ლუნკანუმ მე-2 ნომრად განთესილებთან, რუს **მიხაილ ელგინთან** და უკრაინელ **სერგეი ბუბკასთან** წააგეს – 3:6, 3:6.

**მაკა ჩახნაშვილი** ჰოლანდიის ქალაქ ფლაარდინხენში წყვილთა თანრიგის ნახევარფინალშია. მაკამ და არგენტინელმა **ფლორენცია მოლინერომ**, რომლებიც მე-3 ნომრად არიან განთესილები, ჰოლანდიურ დუეტს (**ტიგუ, ფეტერინხსი**) მოუგეს – 6:1, 3:6, 10:6. ნახევარფინალში ჩახნაშვილი და მოლინერო პირველ ნომრად განთესილებს, **მირჩიჩსა** (სერბეთი) და **იუგიჩ-სალკიჩს** (ბოსნია) შეხვდებიან.


მაკა ჩახნაშვილი

ავსტრიულ პორტშახში (10 ათასი დოლარი) ქართული წყვილი (**სოფიო ქვაცაბაია და ეკა გორგოძე**) მეოთხედფინალში დამარცხდა. ჩვენებმა მასპინძლებთან (ჰელვიგი, კლემენშიტცი) წააგეს – 3:6, 4:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# ხალხი ჩემს მხარესაა




როჯერ ფედერერი, დონ კინგი და რაფაელ ნადალი

აშშ-ის ღია პირველობის ორგანიზატორებმა ფირმა "ნაიკთან" ერთად, რაფაელ ნადალისა და როჯერ ფედერერის მოსალოდნელ ფინალურ დაპირისპირებას დამატებითი აჟიოტაჟი შესძინეს. ამისთვის მათ კრივის ლეგენდარული პრომოუტერი დონ კინგი მიიწვიეს. "ჯუნგლებში ჩხუბისა" (1974 წელს, ქალაქ კინშასში მუჰამედ ალისა და ჯორჯ ფორმენის ორთაბრძოლა) და "მანილას თრილერის" (მუჰამედ ალი-ჯო ფრეზერი, 1975 წელი) შემქმნელი, რომელსაც გასულ კვირას 77 წელი შეუსრულდა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს. ორ დიად ჩოგბურთელსა და წარსულის ლეგენდარულ მოკრივეთა დაპირისპირებებს შორის ანალოგიამ სასურველი ეფექტი გამოიწვია და ტურნირს განსაკუთრებული ელფერი შესძინა.

შეგახსენებთ, რომ ნადალმაც და ფედერერმაც პირველი წრის მატჩები სამ სეტში მოიგეს. როჯერის ეს ინტერვიუ სწორედ არგენტინელ მაქსიმო გონსალესთან შეხვედრის შემდეგ არის აღებული.

**- თქვენთვის, ალბათ, უჩვეულო უნდა იყოს ტურნირზე მეორე ჩოგანის რანგში გამოსვლა?**

- სრულებითაც არა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თუ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ბადის ზემოთ ვიყავი მოქცეული, ახლა ძირში დავეშვი (იცინის). მნიშვნელობა არ აქვს, პირველი ნომერი იქნები თუ მეორე. ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა მატჩისთვის სერიოზულად უნდა მოემზადო.

**- აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონის სტატუსს ზედიზედ მეხუთედ იცავთ. როგორ ახერხებთ წლების განმავლობაში სათანადო მოტივაციის შენარჩუნებას?**

- ეს გულშემატკივრების დამსახურებაა. როცა ქუჩაში სრულიად უცნობი ადამიანები გაჩერებენ, თბილ სიტყვებს გეუბნებიან და წარმატებას გისურვებენ, ხოლო მოედანზე შენს სახელსა და გვარს სკანდირებენ, ასეთ სიტუაციაში სირცხვილია, რომ კორტზე ბოლომდე არ გამოავლინო შენი შესაძლებლობები.

**- არ გეჩვენებათ, რომ ბოლო დროს პუბლიკა ნაკლებად გიჭერთ მხარს? თავის დროზე, კლასიფიკაციაში პირველი ადგილის დაკარგვის შემდეგ დაახლოებით იგივე რამ პიტ სამპრასსაც დაემართა...**

- ვერ დაგეთანხმებით. ყველგან, სადაც კი თამაში მიწევს, პუბლიკა ჩემ მიმართ კეთილგანწყობას გამოხატავს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ რამდენიმე ენაზე შემიძლია საუბარი და ამ მხრივ სამპრასის წინაშე გარკვეული უპირატესობა მაქვს (იცინის). ვფიქრობ, რომ მაყურებელი ერთადერთხელ იყო ჩემ წინააღმდეგ განწყობილი - 2005 წელს ავსტრალიის ღია პირველობაზე, სადაც მე მთავარი ფავორიტი ვიყავი. მახსოვს, როცა სეტი წავაგე, პუბლიკა ჩემს მოწინააღმდეგეს თითქმის ნახევარი საათი უკრავდა ტაშს.

**- რას ფიქრობთ "ნაიკის" აქციაზე, რომელზეც თქვენი და რაფაელ ნადალის სავარაუდო ფინალური დაპირისპირება ლეგენდარულმა დონ კინგმა წარადგინა?**

- ეს ტურნირი რომელიმე სხვა ქვეყანაში რომ ტარდებოდეს, ამ აქციას არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდებოდი. მაგრამ ნიუ იორკი - განსაკუთრებული ქალაქია ჩემთვის. ამასთან, არ დავმალავ, რომ მეც და ნადალსაც მოგვეწონა წარსულის ლეგენდარულ მოკრივეებთან ჩვენი შედარების იდეა. ეს მართლაც უჩვეულო იყო. გარდა ამისა, ძალიან სასიამოვნო იყო ისეთი "ზვიგენის" გაცნობა, როგორიც დონ კინგია. ადამიანი-ლეგენდა! სხვა რა უნდა ვთქვა? აი, დავასრულებ საჩოგბურთო კარიერას და იქნებ, პროფესიონალ კრივში გადავიდე სამუშაოდ! (იცინის).

**- პეკინის თამაშებიდან რა შთაბეჭდილებები დაგრჩათ? იქ წყვილთა თანრიგში ნანატრი ოლიმპიური ოქრო მოიგეთ...**

- სამწუხაროა, რომ იმავეს გაკეთება ერთეულთა თანრიგში ვერ შევძელი, მაგრამ მაინც ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ უჩვეულო და დაუვიწყარ ზეიმში მივიღე მონაწილეობა. შთამბეჭდავია ის, რაც ჩინელებმა გააკეთეს. საქმის ორგანიზების მხრივ, მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

**- ჩინეთის შემდეგ ნიუ იორკში აკლიმატიზაციის პრობლემები ხომ არ შეგექმნათ?**

- რა თქმა უნდა, ხანგრძლივი გადაფრენების შემდეგ, გადაღლილი ვარ. იმედია, ეს მალე გაივლის და საბრძოლო ფორმას სწრაფად დავიბრუნებ.

**- ამ განწყობას პირველ წრეში გამოსვლაზე არ უმოქმედია?**

- დაღლილობას ვგრძნობდი. გარდა ამისა, მაქსიმო გონსალესს ადრე არასოდეს შევხვედრივარ და მთელ რიგ ეპიზოდებში ძალების სრული დაძაბვით თამაშმა მომიწია. სასიხარულოა, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## აშშ-ის ღია პირველობა

### ქალები

#### II წრე

**სიბილ ბამერი (ავსტრია, 29)**-არავან რეზაი (საფ) 6:1, 7:5; **ლინდსი დავენპორტი (აშშ)**-ალისა კლეიბანოვა (რუს) 7:5, 6:3; **მარიონ ბარტოლი (საფ, 12)**-ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ) 6:4, 6:2; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 14)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:2, 6:3; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 21)**-მარია ელენა კამერინი (იტა) 6:1, 6:2; **ნადია პეტროვა (რუს)**-სუ-ვეი ჰსიე (ტაივ) 6:4, 6:2; **ფლავია პენეტა (იტა, 16)**-შუაი პენგი (ჩინ) 6:2, 6:7 (8), 6:1; **ანა-ლენა გრონეფელდი (გერ)**-ჯესიკა მური (ავსტრა) 6:1, 6:3; **ალიზ კორნე (საფ, 17)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 7:6 (5), 6:1; **ტიმეა ბაშჩინსკი (შვეიც)**-იუნ-იან ჩანი (ტაივ) 6:3, 6:2; **დინარა საფინა (რუს, 6)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:4, 6:3; **ოლგა გოვორცოვა (ბლრ)**-აი სუგიამა (იაპ, 30) 4:6, 7:6(4), 6:1; **სევერინ ბრემონი (საფ)**-ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 20) 7:5, 6:3; **ტატიანა გარბინი (იტა)**-აგნეს შავაი (უნგ, 13) 5:7, 6:2, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 9)**-მარიანა დუკე მარინო (კოლ) 6:0, 7:6 (3); **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 18)**-იოანა რალუკა ოლარუ (რუმ) 6:2, 6:2; **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 27)**-საბინ ლისიცკი (გერ) 6:4, 1:6, 6:4; **ვენუს უილიამსი (აშშ, 7)**-როსანა დე ლოს რიოსი (პარ) 6:0, 6:3.

### კაცები

#### I წრე

**ენდი როდიკი (აშშ, 8)**-ფაბრის სანტორო (საფ) 6:2, 6:2, 6:2; **ერნესტ გულბისი (ლატ)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 7:5, 6:1, 7:6 (3); **კარლოს მოია (ესპ)**-აისამ-ულ-ჰაკ ქიურეში (პაკ) 6:4, 6:7 (5), 7:6 (7), 6:2; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 30)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 4:6, 7:5, 6:3, 6:7 (7), 5-2 ბენეტოს უარი; **რობი ჯინეპრი (აშშ)**-ამერ დელიჩი (აშშ) 6:1, 6:2, 7:6 (5); **რობერტ კენდრიკი (აშშ)**-ნიკოლა მაუ (საფ) 7:6 (3), 6:4, 5:7, 7:5; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-არნო კლემანი (საფ) 6:3, 6:3, 6:4; **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 7:6 (5), 6:3, 2:6, 6:3; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 28)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 7:5, 6:3, 6:1; **კრის გუჩიონე (ავსტრა)**-ჯესი ლევინი (აშშ) 6:3, 3:6, 7:6 (6), 7:6 (6).

#### II წრე

**მარდი ფიში (აშშ)**-პოლ-ანრი მატიო (საფ, 24) 6:2, 3:6, 6:3, 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-ანდრეას ბეკი (გერ) 4:6, 7:5, 6:3, 7:6(5); **კეი ნიშიკორი (იაპ)**-როკო კარანუშიჩი (ხორ) 6:1, 7:5 კარანუშიჩის უარი; **ჟილ სიმონი (საფ, 12)**-ხოსე აკასუსო (არგ) 6:4, 6:1, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 10)**-უეინ ოდესნიკი (აშშ) 6:4, 7:6 (6), 6:2; **ფლავიო ჩიპოლა (იტა)**-იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:1, 4:6, 7:6(2), 6:4; **იურგენ მელცერი (ავსტრია)**-ირჟი ვანეკი (ჩეხ) 6:0, 6:2, 6:2; **ენდი მიურეი (ბრიტ, 6)**-მიხაელ ლოდრა (საფ) 6:4, 1:6, 7:5, 7:6 (7).

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### უეფას თასი

##### II საკვ. ეტაპი. II მატჩები

| | |
|---|---|
| მოსკოვი-ლეგია | 2:0 (2:1) |
| მიდტიულ.-მანჩ. სიტი | 0:1, პენ. 2:4 (1:0) |
| ჰაპოელი (ი-ქ)-ლიტექსი | 1:2 (0:0) |
| ჰაპოელი (თ-ა)-ვოივოდინა | 3:0 (0:0) |
| ჟრინსკი-ბრაგა | 0:2 (0:1) |
| ჰერტა-ინტერბლოკი | 1:0 (2:0) |
| ზალცბურგი-სუდუვა | 0:1 (4:1) |
| სლავენი-არისი | 2:0 (0:1) |
| ვიკინგი-ჰონკა | 1:2 (0:0) |
| ჩერნო მორე-მაკაბი (ნ) | 2:0 (1:1) |
| კალმარი-გენტი | 4:0 (1:2) |
| ლილესტრიომი-კოპენჰაგენი | 2:4 (1:3) |
| ომონია-აეკ | 2:2 (1:0) |
| რუსენბორგი-იურგორდენი | 5:0 (1:2) |
| ბრონდბიუ-ჰაკა | 2:0 (4:0) |
| შტურმი-ციურიხი | 1:1, პენ. 2:4 (1:1) |
| ვასლუი-ლიეპაია | 3:1 (2:0) |
| ჟილინა-ლიბერეცი | 2:1 (2:1) |
| ბეშიქთაში-შიროკი ბრიეგი | 4:0 (2:1) |
| დებრეცენი-ი. ბოიზი | 2:3 (1:4) |
| გრასჰოპერსი-ლეხი | 0:0 (0:6) |
| ბელინცონა-დნიპრო | 2:1 (2:3) |
| ცრ. ზვეზდა-აპოელ | 2:2 (2:2) |
| დიორი-შტუტგარტი | 1:4 (1:2) |
| რენი-სტაბეკი | 2:0 (1:2) |
| ჰაიდუკი-დეპორტივო | 0:2 (0:0) |
| სტ. პატსი-ელფსბორგი | 2:1 (2:2) |
| ასტონ ვილა-ჰაფნარი | 1:1 (4:1) |
| ნაპოლი-ვლაჟნია | 5:0 (3:0) |

### ინგლისი

#### კონფერენსი

| | |
|---|---|
| ტორკი-იორკი | 1:1 |

### ჰოლანდია

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ფორტუნა-ტოპ ოსი | 1:1 |

### შვედეთის თასი

| | |
|---|---|
| ენჩოპინგი-გიოტებორგი | 0:3 |

### ფინეთი

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ვიიკინგიტი-გრლფკ | 4:0 |

### მექსიკა

| | |
|---|---|
| მორელია-ინდიოსი | 0:1 |
| ატლასი-ამერიკა | 1:1 |
| ნეკაქსა-მონტერეი | 0:1 |
| პაჩუკა-პუებლა | 2:0 |
| ს. ლაგუნა-ტეკოსი | 2:0 |
| ტიგრესი-ატლანტე | 1:0 |

### პერუ

| | |
|---|---|
| ხუან აურიჩი-უნივერსიტარიო | 1:1 |

### ჩილე

| | |
|---|---|
| კოლო კოლო-უნ. ესპანიოლა | 2:1 |

### იაპონია

| | |
|---|---|
| კაშივა-ტოკიო | 0:1 |
| კავასაკი-ნიიგატა | 4:1 |
| ოიტა-კიოტო | 1:0 |
| ომიია-იოკოჰამა | 1:0 |

## TV სპორტი

### 29 აგვისტო. პარასკევი

#### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
12:25 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
14:15 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 საფეხბურთო პროგრამა.
17:20 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
19:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:35 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ.
21:25 FOOTBALL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
22:25 გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-კიოლნი (LIVE).
00:10 ზუსტი გათვლა.
00:25 სასტვენი.
01:25 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:50 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
08:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
08:40 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. სან პაულუ-ატ. პარანაენსე.
10:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-ვოლფსბურგი.
12:10 პეკინი 2008. ჩოგბურთი. ქალები. ფინალი. დინარა საფინა-ელენა დემენტიევა.
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. პირველი ეტაპის წილისყრა. მონაკო (LIVE).
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:00 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
16:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
17:00 პლაჟის ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. სუპერფინალი (LIVE).
18:10 პეკინი 2008. მხატვრული ტანვარჯიში.
19:25 პეკინი 2008. ჩოგბურთი. კაცები. ფინალი. რაფაელ ნადალი-ფერნანდო გონსალესი.
22:00 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
22:30 სპორტკლუბი.
22:45 ფეხბურთი. უეფას სუპერთასი. მანჩესტერ იუნაიტედი-ზენიტი (LIVE).
00:40 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
01:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
02:10 პეკინი 2008. ჩოგბურთი. კაცები. ფინალი. რაფაელ ნადალი-ფერნანდო გონსალესი.
04:45 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
05:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-ვოლფსბურგი.

#### EUROSPORT

05:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
07:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე.
10:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალი ზელანდია.
11:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
11:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე.
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. პირველი ეტაპის წილისყრა. მონაკო (LIVE).
15:30 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ბელფასტი. IV დღე.
16:00 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ბელფასტი. V დღე (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. V დღე (LIVE).
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. V დღე (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. V დღე (LIVE).

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
13:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XXIII ტური.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XXIII ტური.
17:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
18:00 ნარდი. მსოფლიო სერია. დანია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 რალი. IRC-ს ახალი სერია. ჩეხეთი.
21:00 მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. ბრემონი. კანადა.
21:30 ახალი ამბები.
21:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
22:00 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ბელფასტი. V დღე.
22:30 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ბელფასტი. V დღე (LIVE).
01:30 ახალი ამბები.
02:00 ფეხბურთი. უეფას სუპერთასი. მანჩესტერ იუნაიტედი-ზენიტი.
03:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. პორტუგალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# კიმის ახალი სათამაშო

## ფინელი ფერარიში პირველი პილოტის სტატუსს კარგავს



ფინური პრესისთვის ცნობილი გახდა, რომ ფორმულა 1-ში მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **კიმი რაიკონენმა** ახალი "სათამაშო" შეიძინა: ეს არის იახტა Sunseeker Predator 108.

ფინელის ახალი შენაძენის შესახებ გასულ კვირას, ჰელსინკის ახლოს გამართულ იახტ-შოუზე საუბრობდნენ. როგორც ჟურნალისტები წერენ, ფინელი პილოტი არ აპირებდა ამ ინფორმაციის გამჟღავნებას, მაგრამ როგორც ჩანს, რთულია, დამალო ასეთი ექსტრავაგანტული ნივთი, რომლის ფასიც 10 მილიონ ევროს უტოლდება.

საინტერესოა, რომ კიმიმ ფირმა Sunseeker-ის ნავი სამი თვის წინ შეიძინა, ოღონდ ეს იყო Predator 72-ის მოდელი, რომელიც შესაძლებლობების მხრივ, პილოტს მოკრძალებული ეჩვენა და ის უფრო მძლავრ მოდელზე გაცვალა. ფინური პრესის ინფორმაციით, რაიკონენი არ აპირებს ახალი იახტის ბალტიის ზღვაზე გადაყვანას. სავარაუდოდ, ის მონაკოს სანაპიროზე დაიდებს ბინას.

ბრიტანული ფირმა Sunseeker-ის იახტები ფუფუნების ერთ-ერთ სიმბოლოს წარმოადგენს. საკმარისია აღინიშნოს, რომ სწორედ Predator-ის ნავების ნახვა შეიძლება სუპერაგენტ ჯეიმს ბონდზე შექმნილ ბოლო სამ ფილმში.

■ ■ ■

სანამ რაიკონენი პირად კომფორტზე ფიქრობს, მიმდინარე სეზონში მისი საქმეები ძალიან ცუდად მიდის. ფინელს აპრილის შემდეგ არც ერთი ეტაპი არ მოუგია და ეჭვქვეშ დადგა "ფერარიში" მისი პირველი პილოტის სტატუსი. აი, რას ამბობს იტალიური საჯინიბოს სპორტული დირექტორი **სტეფანო დომენიკალი**: *"თუ საჭირო გახდა, დარჩენილ ეტაპებზე კიმი ფელიპე მასას ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარება"*. ეს ფრაზა პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ "ფერარის" შეფობას ამ სეზონში ბრაზილიელი პილოტისა უფრო სჯერა. მასა თანაგუნდელს შვიდი ქულით უსწრებს და ჩემპიონატში მასზე ორი ეტაპით მეტი აქვს მოგებული.

თუმცა დომენიკალი იმასაც აცხადებს, რომ ჯერ ნაადრევია ფინელი პილოტის ჩამოწერა: *"პირადად მე, განსაკუთრებულ პრობლემას ვერ ვხედავ. კიმის შეუძლია ლიდერებთან ჩამორჩენის გაბათილება. მას არ მოსწონს მოსახვევებში შესვლისას საკუთარი ბოლიდის მოქმედება, რადგან მართვის უფრო აგრესიულ სტილს არის მიჩვეული და ჩვენ ამაში დახმარება უნდა გავუწიოთ. ამასთან, ფელიპე მასასაც შეუძლია ტიტულის მოპოვებაზე ფიქრი. ბრაზილიელი ჩამოყალიბებული პილოტია და თუ მას კონკურენტუნარიანი ბოლიდით უზრუნველვყოფთ, დასახულ ამოცანას აუცილებლად შეასრულებს. ამიერიდან, ძრავასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ქულების დაკარგვის უფლება აღარ გვაქვს. ბელგიის გრანპრიდან მოყოლებული, ერთგვარი ბლიცტურნირი იწყება, რომელიც ექვსი რბოლისგან იქნება შემდგარი და სწორედ აქ გადაწყდება ჩემპიონის ბედი"*.

შეგახსენებთ, რომ უნგრეთში მასას ფინიშამდე სამი წრით ადრე დაეწვა ძრავა. სამი კვირის შემდეგ, ვალენსიაში იგივე პრობლემები კიმი რაიკონენს ჰქონდა.

# შეიძინეთ ზაუბერი



ამ წლის დასაწყისში, ფორმულა 1-ის ყოფილი გუნდის "ზაუბერის" რამდენიმე ბოლიდი აუქციონის წესით გაიყიდა. ახლა ჯერი C18-ის შასიზე მიდგა, უფრო სწორად, ეს არის მანქანა Sauber Petronas C18-07, რომლითაც ფრანგი **ჟან ალეზი** 1999 წლის სეზონში ასპარეზობდა.

ბოლიდს გასაყიდად ebay.ch-ის ინტერნეტაუქციონზე გაიტანენ. ვაჭრობა 31 აგვისტოს გაიმართება. მანქანის საწყისი ფასი 100 ათასი ევროა.

ალეზის ბოლიდი ძრავას გარეშე გაიყიდება. ძრავა - Petronas SPE 03A 3.0 V10 "ფერარის" ეკუთვნის, დანარჩენი დეტალები კი სრულ წესრიგშია.




**მარია შარაპოვა** აშშ-ის ღია პირველობაზე ტრავმის გამო არ თამაშობს, მაგრამ რუსი ჩოგბურთელი ამ ტურნირისადმი მიძღვნილ საღამოს მაინც დაესწრო.

მარია Stella McCartney-ის ნარინჯისფერ კაბაში იყო გამოწყობილი და როგორც თვითმხილველები ამბობენ, აშკარად დაჩრდილა თავისი კოლეგები.

კრივი

# უმცროსმა კლიჩკომ მეგობარი იპოვა

გერმანული პრესა აქტიურად განიხილავს ცნობილი უკრაინელი მოკრივის, WBO-სა და IBF-ის მსოფლიო ჩემპიონ **ვლადიმერ კლიჩკოსა** და არანაკლებ პოპულარული მოდელის **კაროლინა კურკოვას** ურთიერთობას. 20 სექტემბერს წყვილი "ოქტობერფესტის" ლუდის ზეიმზე დასასწრებად მიემგზავრება.

*"ქერათმიანი, 24 წლის, მაღალი, პარამეტრები - 84-58-87. რეიტინგის მიხედვით, ის ჟიზელ ბუნდჰენისა და ჰაიდი კლუმის შემდეგ მესამე მოდელია მსოფლიოში"*, - წერს გერმანული პრესა.

*"ჩვენ კარგი მეგობრები ვართ და ერთად ყოფნა მოგვწონს. ვნახოთ, როგორ განვითარდება ეს ურთიერთობა*, - ამბობს კლიჩკო, - *კაროლინა გულღია გოგონაა, ენერგიული, კარგი იუმორის გრძნობა აქვს, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია"*.



კლიჩკომ კურკოვა ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენში" ჰოკეის მატჩის დროს გაიცნო. ამის შემდეგ მათ ჟურნალ Vanity Fair-ის ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა.

კურკოვა "ოქტობერფესტზე" კლიჩკომ დაპატიჟა და მოდელის თანხმობის შემდეგ, ზეიმისთვის სპეციალური კაბაც შეუკვეთა!

ვიტალი კლიჩკო vs სამუელ პიტერი

# პიტერი ნოკაუტს გეგმავს




ამასობაში, ნიუ იორკში WBC-ის ვერსიით სუპერმძიმე წონაში სატიტულო ბრძოლისადმი მიძღვნილი პირველი პრესკონფერენცია გაიმართა. როგორც უკვე გითხარით, 11 ოქტომბერს პრესტიჟული ტიტულისთვის ამ ორგანიზაციის მოქმედი და საპატიო ჩემპიონები - ნიგერიელი **სამუელ პიტერი** და უკრაინელი **ვიტალი კლიჩკო** იბრძოლებენ.

უფროსი კლიჩკო ჟურნალისტებთან შეხვედრაზე დათქმულ დროს გამოცხადდა, პიტერმა კი ზუსტად ერთი საათი დაიგვიანა. გთავაზობთ პრესკონფერენციის საინტერესო ფრაგმენტებს.

**ვიტალი კლიჩკო:** *"პროფესიულ კრივში ჩემი უმთავრესი მტერი ყოველთვის ტრავმები იყო. წინასწარ არასდროს ვყოფილვარ დარწმუნებული, რომ ამა თუ იმ ბრძოლისთვის საწვრთნელი პროცესი სრულფასოვნად ჩაივლიდა. მაგრამ ამ მომენტში თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ 100 პროცენტით ვარ მზად. მიხარია, რომ ტიტულის დაბრუნების საშუალება მეძლევა, რომელიც თავის დროზე სწორედ ტრავმის გამო დავთმე. სკეპტიკოსები ირწმუნებიან, რომ პიტერთან ბრძოლაში მინიმალური შანსები მაქვს, რადგან სამი წელია რინგზე არ გავსულვარ. ჩემი პასუხი ასეთია: ბრძოლა დაძაბული იქნება, მაგრამ ის 4-6 რაუნდზე მეტს არ გაგრძელდება. 11 ოქტომბერს პიტერისთვის ბევრი საჩუქარი მაქვს მომზადებული..."*

სამუელ პიტერი: *"მინდა ერთ გაუგებრობას მოვფინო ნათელი. აქ ჩემპიონი მე ვარ და არა ის. ვიტალის არასდროს არც ერთი ჩემპიონი არ დაუმარცხებია. მას შეუძლია გაუთავებლად ილაპარაკოს იმის შესახებ, რომ* WBC-ის *"საპატიო" ჩემპიონად მიიჩნევა, მაგრამ ეს ხომ სასაცილოა. სანამ არ დამამარცხებს, ამ წოდების ტარების უფლება არ გააჩნია. მე კი ნაგებას არ ვაპირებ. დღეს თქვენ წინაშე ერთი პირობა უნდა დავდო: ვიტალის ნოკაუტით მოვუგებ. ჯერ მას დავამარცხებ, შემდეგ იმავე ბედს მისი უმცროსი ძმაც გაიზიარებს. იოტისოდენადაც არ მეპარება ეჭვი იმაში, რომ ეს სწორედ ასე იქნება"*.

ლუ დუვა (ლეგენდარული მწვრთნელი): *"პიტერი რაღაცით ლეგენდარულ როკი მარჩიანოს მაგონებს. ეჭვგარეშეა, რომ ის კლიჩკოს ნოკაუტში გაგზავნას შეძლებს. შეხვედრა სანახაობრივად გაამართლებს, მაგრამ ენდეთ ჩემს წინათგრძნობას - 11 ოქტომბერს ბრძოლა ვადაზე ადრე შეწყდება"*.

დინო დუვა (პიტერის პრომოუტერი): *"ბევრს ეგონა, რომ ამ ბრძოლის ორგანიზება შეუძლებელი იქნებოდა. როცა* WBC-*მა დაადგინა, რომ პიტერს ვიტალი კლიჩკოსთან უნდა ეჩხუბა, სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, ვფიქრობდი, უკრაინელი მომზადებას ვერ შეძლებდა და ისევ ტრავმას მოიმიზეზებდა. მაგრამ პეკინის ოლიმპიადაზე ვიზიტისას, მას შემთხვევით შევხვდი და კლიჩკოს თვალებში ენთუზიაზმი ამოვიკითხე. მან მკითხა: "ბოლოს და ბოლოს, შედგება თუ არა ეს ბრძოლა?" სწორედ ამის შემდეგ გაიფანტა მის მზადყოფნაზე ყველანაირი ეჭვი"*.

ვიტალი კლიჩკოსა და სამუელ პიტერის სატიტულო ბრძოლა 11 ოქტომბერს, ბერლინის O2 World-ის არენაზე გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**